



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

შინაარსი

I—ნასესხები.— <u>დექსი</u> , აკაკისა	3
II—დიდებული საჩუქარი.—(საშობაო მოთხრობა) ვაჟა-ფშა- ველასი	4
III—პასუხად პატარა მებრეს.—ნ ნაკაშიძისა	14
IV—გორა ბასილაშვილი.— <u>ელა ანდრო</u> —ღისა	20
V— <u>კურდღლის ნააზობი</u> .— <u>ივანულისა</u>	32
VI— <u>კვლავ გაბრწყინდა</u> .— <u>დექსი</u> , დ. <u>ელაოზიშვილისა</u>	37
VII—ასანთის ამბავი.—(ა <u>დექსიანდრე</u> ა <u>დმედიანკერისა</u> , რუ- სუღით), ელ. <u>ანტონოვსკისა</u>	39
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(გა <u>გრძელება</u>) ი. მოს <u>ე</u> შ <u>ვილისა</u>	45
IX—ნაპოლეონ ბონაპარტი, ძია მღვდელი.—თარ <u>გმანი</u> თ. ბა <u>ქრაძისა</u>	49
X—მადლიერი ლომი.—(რამ <u>ა</u> ულთა თქ <u>მუ</u> ლება. ვ. ს <u>ვეტლო-</u> ვისა). თარ <u>გმანი</u> ელ. ან <u>ტონოვსკისა</u>	54
XI—მითოლოგია, ტროადის ომი.—დი <u>ომედე</u> სის და ფეაცის გამ <u>ტე</u> ქ <u>ეს</u> ელის შინ <u>და</u> როსის შებ <u>რძ</u> ლება, ა. მი <u>ქაბერაძისა</u>	58
XII—გასართობი:—ა) შარ <u>ა</u> და, —ბ) ასოების ამო <u>ცანა</u> (წარ- მო <u>დგ.</u> თეო. კან <u>დე</u> ლ <u>ავისა</u> კან), —ზ) რე <u>ბუ</u> სი	62



ნ ა ს მ ს ხ მ ზ ი



მოიძუა ზამთარმა,
 ბოლო ეღება, ეს არი!..
 უკანასკნელად ფართხალობს
 პირ-დორბლიანი შკენესარი!..

ზუზუნებს, ქარ-ბუქს მალლა ჰყრის,
 გაზაფხულს ჰხედავს მომავალს
 „გულა-ნაბადის ამკვრელისა“,
 და სწყევლის იმის გზა-და-კვალს.

მაგრამ დახედეთ გაზაფხულს,
 რა ტკბილად მომღიმარია!..
 არ ეპოვება ზამთარსა,
 მოდის და მოუხარია!...

ჰხედავს და უკვირს ამ ზამთრის
 უკანასკნელი ფართხალი!..
 თვითონ კი მახარობელი
 მოჰყავს კუდრაქა-შერცხალი.

მას თან მოჰყვება ბულბული,
 ყვავილთ მზიბლავი სტვენითა
 და სულდამტკბარი მგოსანიც
 იხარებს აღმაფრენითა.



230

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს



დიდებული საჩუქარი

(საშობაო მოთხრობა)



ექათმეს ცხენზე აკიდებულ გალიებით ქათმები მოუდიოდა ბაზარში გასაყიდად. გალიაში დედლებთან ერთად მამალიც ჰყავდა დამწყვდეული. მეუფე ქათამთა გვარეულობისა უსიამოვნოდა ჰგრძნობდა თავს გალიაში, რადგან ქათმების სიმრავლისაგან ვიწროობა იყო, მა-

ბალი კი მუდამ თავისუფლებას იყო ჩვეული: თავისუფლად მხრების გაქნევას, ბოლთას და კისრის აძაბვით თავისებურ მღერას. გალიაში კი საძრაობა არა ჰქონდა; სწუხდა ფრიად მამალი, სული ყელში მოებჯინა. არც აცივა ბევრი, არც აცხელა, იშვირა ფეხი გალიის სახელურიდან და პირდაპირ დაბურულ ტყეში ამოჰყო თავი, რადგან ამ დროს დიდს ღიქიან-ბარდიანს ჭალაზე მიუძღვებოდა მექათმე თავის კუდალა ტაიქს; მამალს ეგონა, რომ თვის პატრონის სოსე ტვლებიან-შვილის საბძელ-კალოს ახლო იქნებოდა, მაგრამ მოსტყუვდა. მიიხედ-მოიხედა, ადგილის სიუცხოვემ თავ-ზარი დასცა; თავ-გადაგლეჯილი დარბოდა აქეთ-იქით: უნდოდა გასვლა მინდვრად, მაგრამ რამდენიც ტყის გაშორებას ცდილობდა, იმდენი უფ-



რო და უფრო ღრმად სტოპავდა ტყეში. ხან დახან მხედველობდა-ლაა, ჰაა! იძახოდა გზა-კვალ არეული. ფუჭ. ეს რა სულ ალაგას მოვემწყვდიე, ამბობდა მამალი: „შენ უყურებ? აბა თუ ერთი ქათმის კურკური ან კაკანი საითმე ისპოდეს?! ეს რა სისულელე ჩავიდინე? ვაი დედას მტრისას! აფსუს, ჩემო თავო, უნდა მარტოდ-მარტომ ვიხეტიალო ამ უღრანს, უდაბურს ტყეში?..“

მამლის გარეშემო, თუ თავზე, დიდრონ ხეებზე, სხვა და სხვა ფრინველები, — ტრედები, გვრიტები ირეოდნენ, ედგათ ევილ-ხივილი; ისინი მამალს ყურს არ უგდებდნენ და არც ეს იტკივებდა იმათთვის თავსა. ქალას ნისლი დააწვა შავად და ისედაც ჩამობურულ-ჩაბნელებული არე-მარე უფრო დააბნელა. მამალი გაჩერდა ერთ ადგილას, დიდრონ წიფლის ძირას, გარინდებულმა აღარ იცოდა, საით წასულიყო. მალე ისევე გასინათლდა და მამალმა დაინახა, რომ შორი-ახლო ბარდის ძირას დაგოგავენ რაღაც ქროლა, ნაცარა ფრინველები. — დედა, რა მშვენიერები არიან, რა ლამაზი, მოხდენილი ტანი და ყელ-ყური აქვთ. — ერთი წითელი ფერისა ცერია იმათში, თეთრ-საყურებანი. — თუნდა მომკლან, ასო-ასოდ ამკაფონ, უნდა გამოვემცნაურო, — სთქვა მამალმა, წავიდა ხოხბებისკენ და უცბად წაადგა თავსა. — თქვენს ღმერთს ვენაცვალე, თქვენსა! ვინა ხართ დებო და ძმებო, შვენიერებო, კარგებო. გთხოვთ მიმიღოთ, როგორც თქვენი ძმა და მეგობარი. არა ვარ საშიში არაფრით, ღმერთი — რჯული.

ხოხბებს მამლის დანახვაზე თავ-ხარი დაეცათ და მაშინვე გაფრთხნენ, გაიქცნენ; მამალიც გამოეკიდა უკან ფეხ და ფეხ. შეშინებული ხოხბები მალლა ხეზე შეფრინდნენ და მამალიც ყელ-გადაგდებული შიადგა ხის ძირს და გაუბა საუბარი: — განა ეგრე უნდა, თქვე კაი კაცებო, რას მიფთხებით, ხომ არ შეგკამთ? მე ერთი ეული ვინმე ვარ, უთვისტომო, გადმოვარდნილი ამ თქვენს არე-მარეში და ნუ თუ სალამიც უნდა დამიძვიროთ. — ეუბნებოდა მამალი კისრებ გადმოძაბულ, გოაცებულ ხოხბებს.



ხოხბები ყურს უგდებდნენ, მაგრამ ლაპარაკით არ ელაპარაკებოდნენ; მხოლოდ ბოლო დროს, წითელი ფერის საყურებიანმა ხოხობმა გასცა პასუხი.

— ვის ელაპარაკები, ძმობილო? შენმა გაზრდამ, ტყუილად სცდები, ჩვენ ყველას კი არ ვენდობით, წადი, შენი გზა მოსძებნე. ეული ვარო, იძახი, და იმდენი ხათრიც არა გაქვს, რომ მოდინარ და თავს გვესხმი, აი ამ მანდილოსნებს გულები დაუხვებქე; საწყალებს ეხლაც გულები უფანქვალვით. ხიზანი მორიდებით უნდა იყოს, ვანა შენსავით ბრიყვი და თავაღლებული.

— მაშ არ მენდობით? კარგად მაინც გამსინჯეთ, მანდ ამოვალ თქვენთან, რა მაქვს ცუდი, რომ მირიდებთ?— სთქვა რა ეს მამალმა, შეფთხრიალდა, უნდოდა ხოხბებთან ასვლა, მაგრამ გაიგეს რა მამლის წადილი, წამოიშალნენ და ზრიალით, როგორც შურდულის ქვა, გასწიეს და შორს ჩაეფარნენ, უფრო უდაბურს ადგილას.

ღარჩა მამალი ხახამშრალი.— აჰ, გაგიწყრათ ღმერთი!.. მოგიკვდათ თავი!... ნეტავი თვალთ მაინც არ მენახა ეგ ობრის შვილები!.. აფსუს, მამალო, აფსუს, ჩემო თავო, რომ გწუნობენ, ალბად მტერი ვეგონე, მოსისხლე ვინმე?— სთქვა მამალმა და ბოლოს ამით ინუგეშა თავი: მტერს ვეველაც მოერიდება, ალბად არ მიცნობენ კარგად. სთქვა რა ეს მამალმა, განაგრძო უგზო-უკვლოდ ხეტიალი... უცბად დაინახა მისკენ მომრბინალი კურდღელი. შიშისაგან ტანში ერუანტელმა დაუარა, იფიქრა ეგ არის უნდა გამოვესალმო წუთისოფელსაო, თავი დაღუნა, ბალახებში ჩაიმალა... კურდღელი გაძლიერებული გარბოდა, იმას თავისთვის ეშინოდა; გადარჩა ხიფათს მამალი.

ის იყო ღამდებოდა. მამალი მეტის-მეტად სწუხდა, უნდა მარტოდ-მარტოკას გაეთია ღამე...

— გამარჯობა შენი, ძმობილო, გამარჯობა! — მოესმა ხმა მალლიდან და თანაც კრრრ — კრი-ი-ი...



მამალმა ძალა-უნებურად შეიხედა მალმა. უბრუნებელი

— ვინა ხარ მანდ? მტერი, თუ მოკეთე? — შეუქმბა მამალმა

მალმა გაბედულად, დაინახა რა წვერხმელს წიფელზე მიკო-



სებული დიდი შავი კოდალა და თანაც გაუხარდა, რომ გამოუჩნდა ტყეში ისეთი სულიერი, რომ სალაში მისცა.

— გაგიმარჯოს, თუ მოკეთე ხარ, და თუ მტერი და... ჰო, დიად, თუ მტერი, ვაი შენს ტყავს.

— არა ვარ მტერი, ძმობილო, არა! ჩემზე ილაღმართა-



ლი, მშვიდობიანი, ღვთის-მოყვარე, ძმათ-მოყვარე, დადამილი ნიშნული ერთი არ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე. მისი მოყვარეობა ჩემი ხომ გათქმულია და გათქმული კიდით-კიდემდე. — ეუბნებოდა კოდალა.

— თანის ქება კიტრადა ღირსო. გამიგონია, წარმოს-თქვა მამალმა.

— მაშ ტყუილი გითხრა? არა. სიმართლე მიყვარს და მართალს ვამბობ, თავადაც დარწმუნდები, როცა კარგად გამიცნობ. — უთხრა კოდალამ.

მამალს გაუხარდა გუნებაში, როცა კოდალასაგან ესმა ეს სიტყვები — როცა კარგად გამაცნობო: — მაშასადამე დამეგობრება უნდა ჩემიო, — და უფრო თამამად დაუწყო ლაპარაკი.

— შეიძლება, ვნახოთ! კარგი და პატიოსანი, მხოლოდ ეს გამაგებინე, ძმობილო, რა გქვიან და რა გვარისა ხარ? გვართ გავიგებ შენს ხასიათს და ჯიშს, უპასუხა მამალმა. კვიცი ჯიშზე ხტისო, ხომ გაგიგონია. — წარმოსთქვა მამალმა რიხიანად.

— მე მქვიან, ჩემო კარგო, კოდალა, ხალო გვარი ჩემი არის ხეკაკუნაშვილი. თქვენი ვინაობაც მინდა გავიგო, ჩემ სიცოცხლეში პარველადა გხედავთ. უნდა, როგორც გატყობ, დიდ-გვაროვანი ვინმე იყოთ, თავზე ჯილა იმის ნიშანია — მეფე, ან მეფის ჩამომავალი და, დახე. მე უბედური როგორ ბრწყვად და უზრდელად გელაპარაკები.

მამალმა შედიდურად ჩაახველა, გასივდა, გაიფხორა და თუმცა ერთი მხრით ეწყინა კოდალასაგან ამ გვარი კითხვა, მაგრამ მეორე მხრით მოუტრია ხოხბებისმიერ უმეცრებისა გამო გულზე დაჩნეული წყლული.

— ჰმ, არაფერი უშავს! წარმოსთქვა მამალმა: — არა ცოდნა არა ცოდვაო, ნათქვამია, მაგრამ ჩემი ვინაობის უცოდინობა კი არ მიეტყვება არავის. თქმულა? გაგონილა? წელანაც შემზვდნენ აქ ვილაც ბრწყვები, ჩემს მისალმებაზე გაფრთხნენ და გაიქცნენ.

— შეიძლება ვერ გიცნეს; გენაცვალე, უნდა აპატიო! — უთხრა კოდალამ.



— რომელ ერთს გაპატიოთ! სულ ბრიყვები და რვევენები
 ბი ყოფილხართ, — ამბობდა მედიდურად მამალი.

— ჰო და კიდევაც როგორც ტყის ხალხს ბრიყვს, გაუ-
 ნათლებელს უნდა მოგვიტეო. თუ ამიერიდან არ დავისწავ-
 ლეთ, მაშინ შეგიძლიან დაგვსაჯო. სთქვა კოდალამ მოწი-
 წებით, დაე-მდაბლად: იმ ბრიყვებს სახეზე მაინც უნდა შემო-
 ეხედნათ მაგრამ როცა ბრიყვები ვართ, რა გავგეწყობა?!

— ჰო და მაშ... მე ვარ, — წარმოსთქვა მამალმა დიდი
 რიხით და გაქიანურებით: — მამააალიი, გმირთა-გმირიშვილი...
 გაიგე? არ გაგიგონია? კოდალამ თვალეები დააქყიტა და ხან
 ჰოს იძახდა და ხან არას.

— გვარი როგორაო, — ფაფხურაშვილიო? დაეკითხა კო-
 დალა.

— ფაფხურაშვილი კი არა, რეგვენო, შეუქახა მამალმა, —
 გმირთა-გმირიშვილი...

— მეცოდინება, მეცოდინება, გენაცვალე ჯიბლიბოში
 და ჯილაში, — უპასუხებდა კოდალა. — მე უნდა ამიერიდან
 შენს ყმად და მოსამსახურედ გავხდე, თუ ღირსი ვიქნები. შენ
 აქაური არა ხართ; უკაცრავად, რომელი ქვეყნიდანა ბრძან-
 დები? ან რა ქარმა ვადმოგაგდო, მიკვირს ამ ჩვენს ქვე-
 ყანაში? უსაქმოდ არ გაირჯებოდნი?

— რა თქმა უნდა, საყენკიანიდან კაცი აქ უსაქმოდ არ
 წამოვა. მეც საქმისთვის ვარ წამოსული, უნდა გავანათლო
 ეს თქვენი ბრმა და ყრუ ქვეყანა, გონებაზე მოგიყვანოთ.
 კეუა არ გაკლიათ, აი მაგალითად, თუნდა შენ, მაგრამ როცა
 სწავლა არა გაქვს, ხეპრე ხარ... კევა უხმარი არს ბრიყვთა-
 თვის, კევა ცოდნით მოიხმარებისო.

— არა სტყუი, არა, ბატონო მამალო. როგორ გეტყო-
 ბა ლაპარაკში, რომ დიდი ნასწავლი უნდა იყო. იმ ნაირი
 ქართული მოგდის და! პირველად რომ დაგინახე, მაშინადვე
 შეგატყვე. რადა ღირს, ვინც კი იცის და ესმის, შენთან სი-
 ცოცხლე, ცხოვრება და თვით სიკვდილიც-კი. სთქვა კოდა-
 ლამ.

მამალმა თავი მოიწონა, ბოლთასა სცემდა, დეზს დებზე ასვამდა, ქება-ლიდებამ თავბრუ დაჰხვია, ცაში იყო განა, თუ დედა-მიწაზე. აღარ ემდუროდა ბედსა: გამოჩნდა არსება, რომელმაც დააფასა იგი; უნდოდა დაეყვილა, მაგრამ თანაც ითმენდ, უცდიდა მარჯვე დროს, იმ დროს, რომ კოდალას ეთხოვნა: ერთი შენი ხმა გამაგონეო! იცოდა კარგად, რომ მაშინ უფრო ლაზათი ექნებოდა მის სიმღერას...

— საკენკიანში არა ჰყოფილხარ, ძმობილო, როდისმე?! დაეკითხა მამალი.

— როგორ არა, გენაცვალოს ჩემი თავი, განა არ მოგეხსენება, მე ისეთი ხელობა მაქვს, რომ უნდა მივაწყდ-მოვაწყდე აქეთ-იქით ცხოვრების გულისთვის. ვყოფილვარ იქაურ ვენახებში, მინადირნია ბებერს კაკლებზე, თუთებზე და ტირიფებზე.

— მაშ ქათმები არ გინახავს, ფრინველები სახლების კარ-მიდამოში?—დაეკითხა მამალი.

— კი, კი, როგორ არ მინახავს! იმათ წრიდან მშვენიერი სიმღერაც გამიგონია. ამ გვარი მღერა ღამე განთიადისასაც მსმენია და ფრიად დავმტკბარვარ. დედაჩემს უამბუნია, რომ ჩვენი ნათესავეები ადამიანს ჰყავს დატყვევებული და ღამე დავალებული აქვს იმღერონ და აღრე გააღვიძონ თავისი პატრონებიო, თუ არა და მაშინვე თავს მოსძმარავენო...

— ჰმ, ჰმ, წარმოსთქვა მამალმა თავ-მომწონედ: ის მე გახლავარ სწორედ, მე ვარ მამათ-მთავარი ქათმებისა; მხოლოდ ეგ ტყუილია, ვითომ პატრონი მავალებდეს, არა თვით ჩემი ბუნება თხოულობს სიმღერას. მე უმღერლად ვერ გავძლებ; როგორც შენ უქმეღად...

— ოჰ, შენ კი გენაცვალე, თავს შემოგველე, წერა მოგხადე. არ შეიძლება გამაგონო შენი ხმა? როგორ გულით მინდა, რომ იცოდე!—სთხოვა კოდალამ.

მამალსაც ამის მეტი არ უნდოდა, რადგან მღერის საღერ-ღელი ისედაც აშლილი ჰქონდა.

— რატომ, შეიძლება, უპასუხა მამალმა: მხოლოდ ეს მითხარ, მშიშარა ხომ არა ხარ? გული გაიმაგრე. შე რომ სიძლერას დავიძახებ, არ შეგეშინდეს. ნუ გეწყინება, ამას რომ გეუბნები, დიად, ნუ გეწყინება. ჩემს მღერაზე ქათმები— დედლები ვიშ-ვიშს შორთავდნენ მუდამ და მისაყვედურებდნენ: „რა არის, შე კაი კაცო; პატარა დაბლა სთქვი სიმღერა, გულები რაზე დაგვიხეთქეო“. ამიტომ გაფრთხილებ, არ შეგეშინდეს... გული გაიმაგრე!...

— არც ძალიან მშიშარა ვარ, გენაცვალე, შენ რაც შეგიძლიან ასწი მალლა!.. მიუგო კოდალამ.

მამალმა რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ, შეათრაშუნა ორივე მხარი, შემოიბარტყუნა ფერდებზე, აიბურძგნა რაც რამ ბუმბული ჰქონდა ტანზე, კისერი აძაბა, აქიმა ისე, თითქოს ჩამოურჩევითო და დაიყვილა. ბოლოს ყანყარატოში ლოოოვო, დაატანა... თანაც ცალი თვალით კოდალას გადაჰხედა, მოეწონა თუ არა ჩემი გალობაო. კოდალას სიცილი მეორია, მაგრამ დამალა ოსტატურად, მეგობარს არ შეამჩნევინა და გახარებული გადმოენთო მალლიდან დაბლა.

— ოჰ, შენ კი გენაცვალე ყანყარატოში, შენა! რა მშვენიერი ხმა გქონია და რა ლამაზად ჰგალობ! ჩემი ცოცხალი თავით აღარა ვარ შენი მომშვები. კიდე, კიდე, გენაცვალე!— ამხნევებდა კოდალა მამალს და თანაც ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა, კოცნის ნიშნად, ყელზე ეკდობოდა. ახ, ნეტა მე კი მასწავლა მაგნიური გალობა და სხვა არაფერი მინდა. — სთქვა კოდალამ და თანაც მიიპატიჟა სამხარზე მოულოდნელად შეძენილი მეგობარი... — ზევით ხეზე მობძანდი, ბატონო, შენ დაბლა ვერ დაგტოვებ: ათასი მტერია— ტურა, მელა, ქორი, ზარნაშო... ზევით მობრძანდი, სამხარი მიირთვი, იმედი მაქვს მასპინძლად არ დამიწუნებ, ჩემ საწყლობაზე ცოტა რამ სანოვაგეს მოვახერხებ.

მამალი დასთანხმდა, ტურა-მელების და ქორის ხსენება არ ესიამოვნა, მაგრამ იმ ქამად არაფერი უთქვამს. აჰყვა

კოდალას მალლა ხეზე და გამოიქიმა დიდრონ წვერ-ბმელ წიფლის ტოტზე, ხოლო კოდალა დაფაცურდა, როგორც მისპინძელი, გაჭკრა-გამოჭკრა ხეს ნისკარტი და საჩქაროდ რამდენიმე თეთრი კია მიართვა სტუმარს.

— რაილა ღმერთმა შენი თავი ძმად, მეგობრად, თუ ბატონათ მომცა, — წარმოსთქვა კოდალამ: — უნდა სულ ვგრე დაგაბრძანო, ხელი არ გაგანძრევინო, საკმელი თუ სისმელი მე მომკითხე. შენ მხოლოდ ივალობე, მე სხვა არაფერი მინდა, და თუ შეიძლება მეც მისწავლე შენი ვალობა. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ!

— ვნახოთ, რატომ! შეიძლება ისწავლიო, მაგრამ გავიქირდება, მეგობარო, — წარმოსთქვა მამალმა; — მღერა-ვალობისთვის გული და ყანყრატოა საჭირო, ჯიშიც, რა თქმა უნდა, ხოლო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოცადობა ყოველ გვარ სიძნელეს დასძლევს. არ გაგიგონია, ღმერთს რა უთქვამს? მოცადმა ნახევარი ძალი ხელიდან წამგლიჯაო, გამომტაცაო.

— მე ვა არ გამიგონია, გეტყვანე, — მიუგო კოდალამ: — ოჰ, როგორ ბერი რამ იცი?! მე კა საწყალს არაფერი გამეგება... უნდა მაშ ვეცადო... და ვიდრე მამალი მისგან მიძლენილს კიებს შეექცეოდა, კოდალა ვარჯიშობდა, ყელში ყიჭყიჭობდა, უნდა დაეყვილა, მაგრამ ვერ ახერხებდა... გაჯავრებულმა გასწია სულ მალლა-მალლა, მოეკლო წიფელს წვერებში, დაჭკრა ნისკარტი ხეს და თანაც ჩვეულებრივი თავის საგალობელი შემოსძახა, რათა ეჩვენებინა მამლისთვის თავის მღერის უნარი: წი-ი-ი-ი, წე-ე-ე-ჰაჰაჰა! გაისმა ხმა კოდალასა.

— ბიკოს, ბიკოს! ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ! შენც კარგი ვალობა გკოდნია. ეუბნებოდა მამალი.

— ეჰ, ჩემი მღერა რა მღერაა! სიმღერა შენია სათქმელი. როცა დაიძახე, მთელმა ტყემ ზანზარი დაიწყო. განა არ შემეშინდა, მაგრამ გული გავიმაგრე, — მიუგო კოდალამ.

— უსათუოდ უნდა შევისწავლო შენი ჰანგიცა, — წარმოსთქვა მამალმა: — აბა მაშინ იქნება ჩემი მღერა დიდებული.

კოდალასაც, რასაკვირველია, გაუხარდა, — ჩემი მღვწეა შესასწავლად ღირსადა სენა მამალმაო, და მართლაც შესდგნენ მეგობრები ერთი მეორის ჰანგის შესწავლას; ხოლო, ეს იყო უბედურება, არაფერი გამოდიოდა ამ კდისაგან: როცა კოდალას უნდა დაუძახა — ყიცილიყო, გამოუდიოდა ისევ — წი-წიო და მამალსაც „წი-წიოს“ მაგივრად თავისივე ჰანგი. იმედს მაინც არა ჰკარგავდნენ და ფიქრობდნენ ბოლოს დაედლიათ ბუნების ჯიუტობა...

ამასობაში შემოღამდა და მეგობრებმა გვერდის-გვერდ მსხდომარეთა იმავე ღიდრონს წიფელზე გაათიეს ღამე. მამალმა იმ ღამეს სიზმარი ნახა: ვითომ სოსე მკადიაშვილის კარმიდამოში იყო, გარს ეხვია ქათმების გუნდი, უამბობდა თავის თავ-გადასაველს, — სად ქორი დაამარცხა, სად ძერა, სად ყვავი და სხვ. ქათმებიც უწონებდნენ ვაეკაცობას მამალს და აქებ-ადიდებდნენ... თავ-მოწონებულმა მამალმა დაიყიელა... თავისავე ყივილიზე გამოედვიდა. მამალმა მიიხედ-მოიხედა, შეჰხედა ცას და ჯერ ხარიპარიაც არსად სჩანდა, ამოიოხრა მწარედ და ჩაიძინა... განთიადისას გააბა მამალმა ყივილი ისე დასძახოდა, რომ იმ არე-მარეს სულ ზანზარი გაჰქონდა... კოდალას თავი მოსწონდა თავის მეგობრის სიკეთით, ისიც თითქმის ხმას აყოლებდა და ფიქრობდა თავის-თვის: როგორ შეუძლიან მტერი ახლო მოგვეკაროსო.

ვაჟაფშაველა.

(შემდეგი იქნება)





პასუხად პატარა მხარეს



ოფლელო ილიკო, ეს არის შენი წერილი წავიკითხე „ნაკადულ“-ში. შენმა ამბავმა მართლაც გამაკვირვა და ახლა მეც მინდა ჩემი თავგადასავალი მოგწერო და შენც გაგაკვირო. როგორც შენი წერილიდან სჩანს, მე შენოდენა ქალი უნდა ვიყო და, წარმოიდგინე, ჯერ სკოლაში არ შევესულვარ, მაგრამ უკვე ვიცი ათასამდის ანგარიში, რუსული, ფრანგული, ინგლისური ლაპარაკი და წერა-კითხვა, გეოგრაფია და სხ... თუმცა უნდა გამოგიტყდე, რომ ქართული წერა-კითხვა მეც საყველბუროდ ვიცი და ისიც, ღმერთმა უშველოს ჩვენი მეკარის ქალს მაგდანას, იმის წყალობით ვიცი. როცა დედა არ არის შინ, ამოირბენს ხოლმე ჩემთან, „მადმაზელიც“ ამ დროს ისე აღარ მდარაჯობს; მივხდებით სადმე კუნძულში ჩინური შირმის უკან, ან გადიის ოთახში და ერთად ვკითხულობთ. შენი ამბავიც მაგდანამ წამაკითხა და, როცა ვუთხარი, პასუხის მიწერა მინდა-მეთქი, შეშინებით შემოძახა:

— რომ დასწერო, თინა, მე წამაკითხე, ისე არ გაგზავნო, გაგისწორებ, თორემ შენ წყალის მაგიერ ცკალს დასწერ, წვიმის მაგიერ ცვიმას, კინკარს — ჩინჩარს და არკმევ და თავს შეირცხვენ იმისთანა პატიოსან მუშა ბიქთანაო.

მე, რასაკვირველია, დავეთანხმე მაგდანას, მასვე ვსთხოვე ამ წერილის გამოგზავნაც და მაშინვე შევეუდექით გადიის

ოთახში წერას, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვიდა დედა. ვიგონე თუ არა ფეხის ხმა, მაშინვე წამოვხტი: გვინდოდა დავმალულიყავით, მაგრამ ველარ მოვასწარიტ. აგერ შემოვიდნენ ჯერ მრისხანე დედა გრძელი მშვენიერი კაბით მორთული და შემდეგ გამხდარი, გაწითლებული, შერცხვენილი მადმაზელი.

დაგვინახა თუ არა, დედა შეჩერდა და ისეთ ნაირად შემოგვხედა, რომ ეკვი შემეპარა: ვერ გვიცნო, მეგონა, მაგრამ მაშინვე მიუბრუნდა მადმაზელს წყრომით:

— აი, მადმაზელ, აკი გითხარით, აქ იქნებიან მეთქი. ნეტავი, ვიცოდე რას უყურებთ? ნუ თუ არ იცით, როგორ უნდა მოვალეობის ასრულება? მაშ რილასთვის იღებთ სასყიდელს... ხედავთ, რა საზოგადოებაში არის ჩემი შვილი?!

დედამ შეშინებით გაიშვირა ხელები მაგდანასაკენ, თითქოს მაგდანა პატარა ქალი კი არა მგელი ყოფილიყოს. მადმაზელმა ზიზლიტ გადმოგვხედა მე და თავჩალუნულ მაგდანას.

— ერთი შეხედვით, კაბის არშიები სულ დასკმუქნია, ზილფები ვასწეწია, ბანტი განზე მოჰქცევია... ეს რაღაა? ხელებს რაღას მალავ? აქ მაჩვენე!..

დედამ ჩემკენ წამოიწია. უკან დამალული ხელები გავუწოდე, შიგ წერილი მექირა.

— აჰა ღმერთო ჩემო, კიდევ ქართული! კიდევ ქართულად ლაპარაკობენ და სწერენ!.. მადმაზელ, გრცხვენოდესთ! ხომ გაუფუქდა სრულიად გამოთქმა... ქართულის სწავლას ყოველთვის მოესწრება შემდეგშიაც და ახლა კი საზიანოა გამოთქმისათვის, გესმისთ? კილო... ღმერთო ჩემო! საზიზღარია, როცა ქართულის კილოთი უმსგავსოდ ლაპარაკობენ რუსულს... შენ გოგო... დაიკარგე აქედგან... წაიღე ეს შენი ნაჯღაბნი და აქ აღარ დაგინახო...

— ეს მაგდანას კი არ დაუწერია, მე დავწერე, დედა, ჩემო, — ვუთხარი მე და მინდოდა უკან წამომეღო, მაგრამ



დედამ ისე შემომხედა, რომ... ქალღმერთები მაშინვე გადავწყვეტილ
ყარე მაგდანა.

— მადმაზელ, ახლავ წაიყვანეთ და სხვა კაბა ჩააცვით, თმა ხელახლად დაუხუჭუჭეთ... და შენ თინა, — მომიბრუნდა მე, — რადგანაც ასეთი საძაგელი ბავშვი ხარ, დღეს ხილს აღარ მიიღებ...

დედამ ერთი კიდევ შეხედა მადმაზელს მრისხანედ და გავიდა.

მადმაზელმა ამოიხვნეშა და მტაცა ხელი მხრებში.

— აჰ, რა ჯიჯტი, შეუსმენელი ბავშვი ხართ: რად გინდად ეს ქართული ლაპარაკი თქვენისთანა მდიდარს, დიდიკაცის შვილს; ან მეკარის გოგოს მეგობრობა რა თქვენი საკადრისია?!.. აჰ, ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ!..

ძალიან მებრალეობდა საწყალი მადმაზელი და დაღონებული მივდიოდი საპირფარეშო ოთახისაკენ, მაგრამ ჩემი თავი კიდევ უფრო მებრალეობდა.. შენ უთუოდ არ იცი, რა სატანჯველია, როცა თმას დაიხუჭუჭებენ. მერე კიდევ მაშინ, როცა რამ გულით გენატრება და გეჩქარება, და მე კი ისე გულით მინდოდა ამ წერილის დათავება.

მივდიოდი და ვფიქრობდი შენს ბედნიერებაზე. შენ ეხლა ზიხარ საღმრთო მინდორში მწვანე ბალახზე ხის ქვეშ, იქვე შენთან სძოვს კრელი ნახირი. ძალიან აქვე წევს და კუდის ქნევით შემოგცქერის. ზიხარ შენთვის თავისუფლად და აკეთებ იმას, რაც გესიამოვნებაო საღამურს უკრავ, წერილს სწერდა.. უკან არ მიგდევს გამხდარი, გაჯავრებული, უკმაყოფილო მადმაზელი ბუზღუნით.

— მადმაზელ, თმას რომ დამიხუჭუჭებთ, შემდეგ...

— შემდეგ გაკვეთილები გეკნებათ, ქალბატონო, გაკვეთილები! მასწავლებლები მოვლენ რუსული ენისა, ინგლისურისა და საღმრთო სჯულისა...

ღმერთო ჩემო! ყველა ამ გაკვეთილებზე მადმაზელი იქნება გამოკიპული ჩემ პირდაპირ და ყოველ ჩემ შეცდო-

მაზე სასოწარკვეთილებით გადააქნევს თავს... ამოვიხეხე შენ, დავეგეჟი და მივეუშვირე თავი. მადმაზელმა აიღო დასახუტუტ კბელი მაშა... ოჰ, რა საძაგელია ეს მაშა!.. თითქოს განგებ სწორედ ამ დროს მოისმა მუზიკის გრიალი ჩვენ ქუჩაში... ფეხები თავის თავად ამითამაშდა... რა გულით მინდოდა ფანჯარასთან მირბენა...

— მადმაზელ, არ შეიძლება, ფანჯარასთან მივიდე?..

— არ შეიძლება, ქალბატონო, არ შეიძლება... თქვენი გულისათვის ყოველთვის შენიშვნა უნდა მივიღო?..

მადმაზელი ახვევს ჩემ შავ თმას მაშაზე, ატრიალებს, მწევს მტკივა, ცრემლები თავისთავად სჩქეფენ თვალითაგან, მაგრამ ვითმენ, ვმაგრობ. მუზიკა კი გრიალებს ქუჩაში.

— აჰ, რამდენი ბავშვი იყურება ახლა ფანჯრებში, რამდენი ქუჩაშია ცარბის, რა ბედნიერები არიან .. ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე. ვფიქრობ, რა იქნება შემდეგ... შემდეგ გაკვეთილები .. შემდეგ სადილი... დღეს ხილს არ მაკმევენ... აჰ, ის საზიზღარი წამალიც უნდა დავლიო (სისხლ-ნაკლები ვარ). ჩემ პირდაპირ სუფრაზედაც მადმაზელი ზის, აქეთ-იქით სუფრის თავსა და ბოლოს დედა და მამა ნელა სკამენ და სდუმან. სადილის დროს დინჯად, წყნარად და წელში გამართული უნდა ვიჯდე. ნასადილევს სასეირნოდ უნდა წავიდე მადმაზელთან ერთად. შემდეგ... შემდეგ კი მუზიკის სწავლას უნდა შევუდგე.

მაგდანმა მითხრა, იღობ არ იცის, რა არის მუზიკის სწავლაო. დიდი ბედნიერი ყოფილხარ რომ „გამებს“ არ უკრავ, მე კი ვუკრავ, ვუკრავ, ვუკრავ...

ჩვენი წრის ქალმა მუზიკა კარგად უნდა იცოდეს... ასე ამბობს მამა.

დღეს საღამოს, როცა მუზიკის ვსწავლობდი და მადმაზელს ჩასთვლიმა სავარძელში. მაგდანმა ნელ-ნელა კარი შემოაღო და შემოჰყო თავი. მე თითის წვერებზე წამოვდექი და წინ მივეგებე.

— აქ ვიქნები, უკანა დერეფნის ბოლოში დიდი სკივრის უკან, — მითხრა მან და გაიქცა. მადმაზელი შეეშინებოდა, თვალები გაახილა და შემომიტიხა:

— თინა, თქვენ ძალიან ცუდად იქცევით... ეხლავ დედას მოვახსენებ... რისთვის მიატოვეთ სწავლა?..

— კარი მივხურე, მადმაზელ, წვიმა მოდის... არ შეიძლება, მადმაზელ, ერთი წვიმაში გავირბინო? აი სოფლის ბავშვები სულ წვიმაში დარბიან თურმე... მინდა დავსველდე, ჩემს დღეში არ გამომიცდია და ძალიან მენატრება...

მადმაზელი განცვიფრებული, შეშინებული შემომატკერდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა მან, — რა ბარბაროსული სურვილია. ეს სულ იმ გოგოს გავლენაა! თქვენ და წვიმაში სირბილი! ვის გაუგონია მდიდარი და დიდი კაცის ქალი წვიმაში ეზოში დარბოდეს.

— მადმაზელ, თქვენ სამშობლო საფრანგეთში ბავშვებიც ფრანგულად ლაპარაკობენ?

— დიად, ფრანგულად ლაპარაკობენ... ერთი მითხარით, რაში გეკითხებათ?

— შე რომ ქართული ვარ, მადმაზელ...

— კარგია ერთი, გეყოფათ ამდენი ყბედობა... დაჯექით, დაუკარით, თორემ დავგიანდებ. გაკვეთილები უნდა მოამზადოთ სახვლიოდ.

— აჰ, გაკვეთილები!.. — ამ დროს გავიგონე დედიჩემის ფეხის ხმა, — სადღაც წავიდა. მთელი საღამო სხვაგან იქნება... ოო, ახლა კი დაიძინებს მადმაზელი... მაგრამ ჯერ კიდევ უნდა დავუკრა. — ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი... ვუკრავ გამებს. თანაც ცალი თვალი და ყური მადმაზელისაკენ მაქვს მიპყრობილი.

აი დაამთქნარა. დაიძინა. წამოვხტი, ფეხაკრებით, უხმოდ გავირბინე რბილი ხალიჩა, გავაღე კარი და გავარდი გარედ.

— მაგდან, მაგდან, აბა მეც აქა ვარ! — შეესძახე სიხარულით.

ჩაეჯექით სკივრის უკან და ხელახლად შევეუდექით ამ წერილის წერას. ერთობ ვჩქარობდით, რადგანაც გვეშინოდა, მადმაზელს არ გაღვიძებოდა, მამაც ჯერ კიდევ სახლში იყო და ვაი თუ... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. დროა გავათავო წერა, სრულიად ჩამოხველდა სკივრის უკან და ველარას ეხედავთ...

აი, ასე ვატარებ მე ჩემ დღეებს, უქმეებს გარდა, და ნუ თუ მეც, ქალაქელი ბავშვი, მდიდარი, დიდი კაცის შვილი, შენსავით შესაბრალისი არ ვარ, სოფელელი ილიკო?!..

6. ნაკაშიძე





გორა ბასილაშვილი



ცდა ერთის წლისა შესრულდა გორა ბასილაშვილი. სალდათობის კენჭი რგებოდა და დღეს უნდა გასდგომოდა გზას შიდა რუსეთისაკენ. ჯერ მხეს ყური არ ამოეყო, როცა ის წამოხტა, თუმცა დედას აესწრო და მხარზედ კოკა გადებული წყალზედ მიდიოდა.

გორამ დედას გაჰხედა და მძიმე ნაბიჯზედ შეატყო, რა დარდი და ვარამი დასწოლოდა გულზედ. მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედა, უკვე წელში მოხრილიყო.

ოცდა ხუთი წლის დილიდგან სალამომდის დაუსვენებლივ შრომას თავისი დალი დაესვა; მაინც სიღარიბეს ვერ ამოსვლოდა და ერთი კაბის ძველა ძლივს ჰფარავდა მის შიშველა ტანს. უსაცმელოდ ფეხები დაჰკორძებოდა და დახეთქოდა.

გორას თვალწინ უცბად გაირბინეს პატარა ბიჭობის სურათებმა, მერე დავაეკაცების ხანამ, მიხვდა რამდენი ცხარე ცრემლი იყო გამოხვეული დედის ძველ კონკებში, ღრმად ამოიოხრა, მოაშორა თვალი მიმავალ დედას და იქვე, კარის

ვენახში რომ რუ ჩამოდიოდა, იმისკენ გასწია პირისკენ და ნაღწა
ნაღ.

რუ საამურად მოჩუხჩუხებდა. მზის სხივებს შიგ შუა
გულში ჩაეკვრიტათ და ცელქად ბანაობდნენ. გორა რუს
მიუახლოვდა, ჩაჯდა და სიამოვნებით ჩააყურყუმელავა ხე-
ლები, ხარბად ივსებდა მუკებს და ზედი-ზედ იშხაპუნებდა
პირზედ.

უკანასკნელად ჩაიგუბა პირში, გამოირეცხა, მერე მწვა-
ნიანზედ, რომელზედაც მოცქრიალებდა რუ, გაიშოტა და
ტუჩები წყალს დააწება.

გამოვიდა ვენახიდან, ამოიღო ახალუხის ჯიბიდან კრე-
ლი ხელსახოცი და შეიწმინდა პირი.

სოფელი ის იყო იშლებოდა და, რადგან ღვინობისთვის
რთველები იყო, უფრო მეტი ხმაურობა ეტყობოდა; ყველა
სახლის დერეფანში ფუსფუსებდნენ: ზოგი ურემს ავსებდა გო-
დრებით ჭირაზედ წასაღებად, ზოგი გუშინდელს ქაქას იღებ-
და ნავიდან და ხელმეორედ ამზადებდა სადღესო მონაკრე-
ფისათვის, ზოგიც რუმბებით დატვირთულს ურემთან თავის
შრომაში თანამოზიარე საქონელს უგურგურებდა. გორამ
ყველა ამას თვალი მიმოავლო და დალონებით ჩაქინდრა თა-
ვი. პატარა ხანს უკან ისევ ასწია თავი, დერეფანში მწო-
ლარე პატარა და დაინახა და მიუახლოვდა. ბავშვმა თვალები
გააჭყიტა და ჯერ ძილისგან გამოურკვეველმაჰკითხა გორას:

— უნდა აპაში წახიდე? უნდა მულაც თან წაიკანო?

გორამ არ უპასუხა, მხოლოდ პაწაწა ნუკას ხუჭუჭი
თავი ასწია და მაგრად აკოცა. ამ დროს დედაც შემოვიდა
ეზოში, ვეებერთელა კოკა მოიხსნა მზრიდან, დერეფნის
კუთხეში კუნძზედ მიაყუდა და ჩამოჯდა ლოგინზედ. სალო-
კი თითოთ შუბლზედ ოფლი მოეწმინდა, მოსახვევის ირიბი
ყურები თავზედ აიკეცა და ცოტა ხანს სდუმდა. მერე სევ-
დით სავსე თვალები მიაპყრო შვილს და უთხრა.

— გორა, შეილო, ადე, გენაცვალოს დედა, ვენახიდან



დანამული ყურძენი გამოიტანე და დავნაყრდნობ. ნეტავი, კაცი რაღა იქნა, წუხელ ბატონიანთ ვენახსა დარაჯობდა. მითხრა, ადრე ამოვალო.

გორა ვენახში შევიდა, დედამ კი შეაკრიალა მოწნული სახლის ვეებერთელა, ურდულიანი კარი, ქვეშ ქვა ამოუდო, რომ დამდგარიყო და თაროსთან მივიდა. ქოხის მოწყობილებას შეადგენდა: ქერის შუა ადგილას მიმაგრებული საკიდელა, რომელიც მიწის პირამდის იყო ჩამოშვებული და ზედ ბატარა ყურძენი ქვაბი. უკანა კედლის მთელი სიგრძე თაროს ეკირა, რომელზედაც ჯამ-ქურჭელი ეწყო. კუთხეში თაროსთან დიდი გოდორი ფქვილისთვის, გვერდის მარცხენა კედელზედ თოკი იყო გაბმული და ზედ ძველმანები ეკიდა. მარჯვნივ კედელთან ერთი კიდობანი, სკივრი, და ბოლოს ოთხ პალოზედ გადებული ხარხები ლოგინის დასაწყობად. გორას დედამ რამდენიმე ქაშანურის ჯამი გადმოიღო, ორიოდე შოთი პური, ოთხიოდე ფოჩი ახალი ხახვი და ნიორი ჩამოგლიჯა კედლიდგან, მივიდა საკიდელასთან ქვაბი ჩამოდგა და მოხარული დედალი ამოიღო, რომელიც გორასთვის დაეკლა. დედალი ჯამფილაზედ დასდო, ცეცხლის ნაკვერჩხლები ნაცარში შეახვია, რომ საღამოსთვის შენახულიყო და თაროს ქვეშიდან მაქრით საგსე ხელადა გამოიღო, რომელსაც ბროწეულის ფოთლები ჰქონდა დაცობილი, ყველა ეს ხონჩაზედ დააღავა და თან თავსახვევის ყურით ლოყაზედ ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა: „ჭირი მოგქამოს დედა-შენმა, შევილო, დამასწროს შენი თავი მერმის მაქრობას!... საიდგან ღა გავიგო შენი ამბავი, შევილო... საღ მოგაწვდინო ხმა“...

...მწარედ ჩაიქვითინა, მაგრამ გარედან ქმრის ხმა შემოესმა და შეიკავა თავი.

— საღა ხარ, დედაკაცო, მზადა ხართ, თუ არა, აგე მზე საითკე წამოვიდა! შემოსძახათ ილიამ.

გორას მამა ილიაც კი იყო დაღვრემილი, მაგრამ არ იმჩნევდა, რადგან ცოლი ეცოდებოდა. მისი ხშირი წარბები

ერთმანეთს გადაბმოდნენ და დარაჯად დასდგომოდნენ. მის კეკიანს, სევდიანს თვალებს. ღრმად დაღარული სახე ამტკიცებდა, რა მძიმე, გაუხარელს უღელს ეწვეოდა ცხოვრებაში. დღესაც, გორა მისი მარჯვენა ხელი, აკლდებოდა მის სიღარიბისგან წელში მოხრილს ოჯახს. მეორე ვაჭი თოთხმეტი წლის ვასო, სხვასთანა ჰყვანდა მოჯამაგირედ და წელიწადში ერთხელ თუ მოხედებოდა სახლს. ილიამ ღრმად ამოიოხრა და სახედარი თორნეს გამოაბა. ამ ღროს გორამაც ხელცახო-ცით სავსე ყურძენი გამოიტანა ვენახიდგან, დედამ ხონჩა, და დერეფანში დაალაგეს, ილიამ ლიტრიდან ორიოდე მუქა წყალი შეისხა პირზედ. გორას საყვარელი ძაღლი, მურაც, გაიზმორა, წამოდგა, კუდი გააქან-გამოაქნია და იმათ გვერდზედ ჩაცუკქდა. მამაშვილნი ხონჩას მოუსხდნენ.

— აქვე ხარ, გორავ? კიდევ, კარგი არ დამიგვიანია!— ამო-
ეხმაურათ ქვევიდგან მომავალი გორას ბიძა ნიკოლოზი.

— გვეწვიე, ბიძავ, გზა დამილოცე! ეგებ ველარც კი
დავბრუნდე ი ვერანიდგან.

— რად იცი, შვილო, უბრალო ლაპარაკი, უწინამც დღე
გაუქრეს დედა შენს!

— რას ამბობ კო, რაღა ჩვენთვის გაწყდება სამართალი!
არა უშავს-რა, შვილო, იგრე მალე გაიბრენს ე წელიწადები
რომ... მეც წელლებზედ ფეხს დავიდგამ და ე პატარა ვენახ
გაშენებულს დაგახვედრებ. შენი თავი მიცოცხლოს ღმერთ-
მა!— და ილიამ მაჭრით სავსე ხელადა მოიყუდა.

ყველა ქამას შეუდგა, მაგრამ ლუკმა თითქო ყელზედ
ადგებოდათ. გორა დედას თვალს ვერ უსწორებდა, ცრემლე-
ბი ებჯინებოდა ყელში.

— ჰამე, შვილო, ყურძენი, არაფერზედ არ დამენატრუ-
ლოს შენი თავი, დააბარებდე ვისმე შენს ამბავს, გენაცვალე,
ეგებ ღვთისნიერი იყოს ვინმე და მომიტანოს შენი ამბავი.

— ადე, ნიკოლოზ— მიუბრუნდა თავის ძმას გორას დედა,
ე ყუთი სახედარს ჩააკარ, კარგა კი გადაუქირე საბელი. ყვე-
ლანი წამოიშალნენ.

— გორა, შეილო, — მიუბრუნდა ისევ დედა — ჩაში გილაგია საგზაო საქმელი, ნათლი დედასაც გამოეგზავნა ერთი წყვილი წინდა-პაქიკი.

— ე სახედარი კიდე, ზურიას მიიბარე დუქანში, ხვალ დილით ნიკოლოზი ავა სიღნაღში და ჩამოიყვანს, — უთხრა მამამ.

ყველაფერი გააშხადეს. გორა დაეკონა მძინარე დას და დიდ ხანს ჰკოცნიდა. მერე დედას ჩაეკონა და თავი ვერ შეიშავრა.



— ნუ ინაღლებ, თავ-შემოგველე დედი! — სლოკინით უთხრა გორამ.

აქვითინებულმა დედამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქუქყიანი ჯიბი-ბოხჩა ამოიღო და ორიოდ გროში ჩაუდო გორას ხელში. მამამაც თარაჯის ძველა ბოისვა თვალეზზედ და გადაეხვია გორას...

— შენი ვაჟაკობის ქირიმე თავს გაუფთხილდა, უბრალო ამხანაგებს ნუ აპყვები, შეილო!..

ნიკოლოზს გული უჩუყდებოდა ამ სურათზედ, მაგრამ დუნქირ ცხოვრებისგან გაფოლადებული თავი შეიმაგრა, — რა იყოთ, ადამიანებო, ვაჟ-კაცები არა ხართ? რა მოუვა, სასიკვდილოდ ხომ არ მიდის! მოდი ერთი გადამეხვიე; შენ ჭკვიანად იყავ და როცა დაბრუნდები შენს ქორწილს სულ ფაიტონებით გადავიხდით.

მურაც სევდიანად დაცუცქებულიყო და ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს.

— მურავ, შენ კი გენაცვალე, მურავ! არ მომიწყინო და არ დამიბერდე, მიუგურგურა ძალს, — სახლს კარგად მოუარე.

მერე კომბალს ხელი დაავლო, ბოხჩის ყურს გაუყარა, მხარზედ გაიდო, ქუდი დაიხურა, სახედარი წინ გაიგდო, პირჯვარი გადაიწერა და აჩქარებული ნაბიჯით გაუდგა ბილიკს სიღნაღისაკენ, საიდგანაც უნდა გაემგზავრებინათ ახლად ჯარში გაწვეული ბიჭები.

II

მიდის გორა ჩქარი ნაბიჯით და თვალიდგან არა შორდება დედ-მამის აჩუყებული გული, უიმედო სახე; თვალეშში ებლანდება ტკილიად მძინარე პატარა და, დაფაცხავებული ქოხი, მურას კითხვით მიჩერებული თვალეშები და მოჩუხჩუხე რუ. მიდის და სხვა და სხვა სურათები ურბიან თვალწინ. ეჩვენება ვითომ სწორ ამხანაგებით ალაზნის გაღმა თევზის საჭერად წასულან, ალაზნის პირას დაუნთიათ ვეწებრთელა ცეცხლი, ზედ ახალი თევზი შემოუდგამთ, შემოსხდომიან გარშემო და მხიარულად ლაზლანდარობენ... მოაგონდა, რომ შობა მოახლოვებულია, ბიჭები ალილოზედ წავლენ, გორამ



კარგი მოძახილი იცის... ამ დროს ძახილი შემოესმა: ~~გამა-~~
რჯობა გორავ, ჰაი გორა, მოდი ერთი ტაქანი მაქარი და-
გელიე, გზა მშვიდობისა მოგცეს, — გადმოუდგა გზაზედ თა-
ვისი ამხანაგი მარტაანთ ალექსა. გორა გამოერკვია ფიქრე-
ბიდგან, ამხანაგის დანახვაზედ გულში მწვავე ტკივილი იგრ-
ძნო და მწარედ ამოიოხრა.

ლამაზონთ წყაროს მოახლოვებოდა, რომლის ახლოც,
ახალგზის პირად ანაგის ვენახები იყო გადაკიმული. ალექ-
საანთ ვენახის მარნიდგან ხმაურობა და ქრიაშული გამოის-
მოდა.

გორამ სახედარი შეაყენა, გამოართვა კიკით მაქარი —
ჩემი გამარჯვებისა და თქვენი აქ დარჩენისა იყოსო, — და გა-
დაუსვა.

ამ დროს მკრეფავებ შორის გორას მამიდაც იყო, გაეგო
გორას ხმა და ლობეზედ გადმოდგა.

— გენაცვალოს შენი მამიდა, ნუ დაგვიფიწყებ, ქალადს
მოგვაწვდიდე! აჰა, შვილო, ე აკიდოები წაილე.

გორამ მიიბრინა ჩატეხილ ლობესთან და მოეხვია მა-
მიდას.

— თქვენ იცით, მამიდა, ალექსა... ხმას შიწვდენდეთ
ხოლომე ჩვენებს, გულ აჩუყებით შესძახათ გორამ. მშვიდო-
ბით!..

— ყოჩაღად იყავ, ქო!.. ღმერთი მოწყალეა, მალე გაირ-
ბენს დრო — უთბრა ალექსამ. ამხანაგები გადაეხვივნენ.

გორამ ქუდი ჩამოიფხატა და გზას გაუდგა. გზა-გზა,
ახლა დუქნებში შეიწვიეს და უკვე დაგვიანებული იყო, რო-
ცა სოფლებს გასცდა და სიღნაღის მიხვეულ-მოხვეულ გზას
შეუდგა.

სიღნაღი კოხტად არის გაშენებული მალალ გორაზედ,
საიდგანაც ხელის გულსავით სჩანს ალაზნის ველი და მთე-
ლი სიღნაღის მაზრა, ვიდრე თელავამდის. კავკასიონის მთე-
ბი მდლიდურად გადმოსცქერიან ალაზანს, რომელიც მის ძირ-

ში მიიკლავება. ძირს პატარძალსავეთ მოკაზმული ცენახები ჩამწკრივებულან, ზევით ერთი ერთმანეთზედ გადამბული სოფლები აგვირგვინებენ ჩვენს წალკოტს — კახეთს.

გორა შედგა სიღნაღის ძველ გალავნის კარებში. უკან მობრუნდა და გადაჰხედა სოფლებს. სიცოცხლის აბობოქრებული კიყინა-ხმაურობა ყურს აწყდებოდა. საამური სიონაზად ეხებოდა მთელს სხეულს.

— ვინ იცის, როდისღა ვნახავ აქაურობას!.. აგერ ვაქირის ბოლოს დეიდაანთ კალო! რამდენჯერ ჩავვიბამ ფერხული მთვარიან ღამეს! ალაზან გაღმა... მე და სანდალაძე თი ურემი მერქანი დაეთალეთ... აგე კარდინახის ნათლი-მცემლის ეკლესია, ეი, რა დღეობა იცის ი დალოცვიღმა! იქ კი არ მითევია ღამე!..

— კაცო, რატო ეგრე მებუთება ე გული! აგრე მგონია, აქეთ ფეხს ველარ ვიბრუნებ მეთქი! და ცრემლები მოერია.

მაინც თავი შეიკავა, „გულის გატეხით არა იქნება რაო“ წამოიძახა და ნახევარ საათს უკან გამოცხადდა დანიშნულ ადგილს.

* *

თბილისამდე ორ დღეს მოუნდათ სიარული. კახეთიდან ოცამდე ბიჭი მოდიოდა და კარგა მხიარულადაც იყვნენ. თბილისიდან ოთხი დღე ერთად იარეს, მერე კი სხვა და სხვა გუბერნიებში გაისტუმრეს. გორასთან ერთად მხოლოდ ერთს ქიზიყელს შეხვედროდა კენჭი, ისე რომ მატარებელში ეს ორნიღა დარჩენილიყვნენ და ორივე დაღონებულები ისხდნენ. ორივე პირველად ჰხედავდნენ მატარებელსაც და ქალაქებსაც, ორივეს თავები გაბრუებულები ჰქონდათ ქალაქში ნანახ-გაგონილით, ეტლების და ტრამვაის შეუყენებელი მოძრაობით, ხალხის გაქანებული მიმოსვლით, ათას ფრად განათებული ქუჩებით და სოფლისგან განსხვავებული ცხოვრების ელფერით. ყველა ამას ზედ ერთოდა მატარებლის გუ-



გუნი, მიჰქროდა იგი და უკან მისდევდა მათი თქმულები და
 ლაც ახალი, უცნობი და უნახავი ხდებოდა მათ ტვინ-
 ში. ათასში ერთხელ თუ ჩაეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— კაცო, დათა, ან რამოტელა ხალხი ყოფილა ქვეყა-
 ზე და ან, რამდენი სხვა და სხვა ჯურის ადაშიანი!

— ეი, დიდება შენთვის ღმერთო—დაუმატებდა დათა
 და ისევ განაგრძობდნენ მატერებლის თანჯრიდგან ყურებას.
 ჰგრძნობდნენ ორივე, რომ თანდათან სწყდებოდნენ თავის
 ქვეყანას და მის თავისებურ ზნე-ჩვეულებას.

ერთი კვირის შემდეგ მიალწიეს იმ ქალაქს, სადაც უნ-
 და დაბინავებულიყვნენ. იმ გუბერნიაში უკვე გაჩაღებული
 ზამთარი იდგა. გორა პირველად მუყაითად მოეკიდა თავის
 მოვალეობას. თქრობდა, მალე გაირბენს ეს სამი წელიწადი
 და დავბრუნდები ჩემ საყვარელ ქვეყანაში, საყვარელ მშობ-
 ლებთან, მაგრამ თან და თან სისუსტე შეეპარა, თავის ტკი-
 ვილი დასჩემდა. სოფელში გაზდილი და მის სუფთა ჰაერით
 გამოკვებილი გორას ჯანი ვერ იტანდა უზარ-მაზარ კაზარ-
 მების დახშულს ჰაერს. თითო დარბაზში ასი სული იყო მო-
 მწყვდეული. მერე რა სიცივეები იყო!.. ამისთანა ყინვები მას
 თავის სიციცხლეში არ ენახა. სავარჯიშო მოედანზედ რომ
 გამოიყვანდნენ ხოლმე, ხელები ებუხებოდა, ცხვირ პირი მო-
 ძრობის შნოს ჰკარგავდა და თვალებიდგან მწვავე წინწყლე-
 ბი გადმოსცივდებოდა ხოლმე. ახლა ენის უცოდინრობა
 უქირებდა საქმეს და ბევრიც მოხვედრია ამისთვის. ყველა-
 ზედ ძალიან კი, სადარაჯო ქობში დგომა ეჯავრებოდა, ვერ
 შესწავლოდა იმას, რომ თოფი მოემარჯვა, გამოჰქიმულიყო და
 ასე ჭანდაკებასავით ორი საათი მდგარიყო. მთელ დღეს ვე-
 ნახში მუშაობას არჩევდა, ასე გაქვევებულსავით დგომას.

ოცდა თხუთმეტი გრადუსი ყინვა იდგა. გორას კი ჯერი
 რგებოდა იმ ღამეს სადარაჯოში დგომისა. იმ დღეს დილიდგან-
 ვე ცუდად იყო, როცა არხის სათხრელად გაიყვანეს; ახლა

კი ნათლად გრძნობდა, რომ მკვალი იდგა ყინვის ნუსხის
აყრიდა, თავით ფეხამდის კანკალებდა, თვალები უჭრებლად
ბოდა, თავის მოვალეობას კი თავს ვერ დაანებებდა, ვიდრე
მორიგე არ შესცვლიდა. ხან ღიღინებდა გორა, ხან ჩუმად
სთვლიდა, მაგრამ არაფერი არა შეელოდა.

ათი წუთი და აკლდა დარაჯობის ვადას, რომ გორამ
თავი ველარ შეიმაგრა, თოფი ხედილდგან გაუვარდა და იქ-
ვე ქოხის წინ გაიშლართა. თვითონ აღარაფერი ახსოვდა,
მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გონს. რამდენიმე კვირის შე-
მდეგ, თუმცა იდგა, მაგრამ საკმაო იყო კაზარმიდგან გამო-
სულიყო და ერთი დღე საშინელი ყინვის სუსხი მოხვედრო-
და, რომ ისევ გაეცხელებინა. ველარ იტანდა გორა, ველარც
ჰავას და ველარც სალდათობის მოუსვენებელ ცხოვრებას...
გული სამშობლოსკენ მიუწყვედა, დადიოდა დამარებული:
„სალდათის ვენახიც, სახლიც და სამშობლოც—თოფიო“, გაი-
ფიქრებდა მწარედ და ცრემლები მოერეოდა.

გადიოდა თვეები, გორა კი სანთელივით დნებოდა. რა-
დგან დაავადმყოფდა, სალდგომოდ შინ წასვლის ნება მის-
ცეს. გორას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, თითქო ცო-
ტა მოკეთდა კიდევ, მაგრამ ჯერ მხოლოდ თებერვლის და-
მლევე იყო და აღდგომამდის კი თითქმის ერთი თვე კიდევ
დარჩენილიყო. მაინც გულს არ იტებავდა და ცოტ-ცოტა
კიდევაც ასრულებდა თავის მოვალეობას. იმ დღეებში რამ-
დენიმე ჯარის კაცს და მათ შორის გორასაც უბრძანეს, ტუ-
სალები უნდა წაასხათ მეორე გუბერნიაშიო. გორა გაჰყვა,
მაგრამ სალამომდისაც არ ეარნათ, რომ ისევ უკან დააბრუ-
რუნეს. საშინლად გაციებულყო და ცუდადაც ახველებდა;
ჩაწვა გორა ლოგინში და აღარც ამდგარა. დათა და იყო
იმისი ნუგეში, როცა კი დროს მოიგდებდა, სულ იმასთან იჯ-
და. იმასაც აღარა ჰქონდა ისეთი ჯან-სალი სახე, როგორც
შინიდან წამოსვლისას.

— აჰ, ერთი ჩვენებური ჰაერი ჩამაყლაპა. აქ ჩრდილში მჯდომი არ არის სვედიანად წამოიძახებდა გორა.

— ნუ გეშინიან, გორავ, კარგა გახდები და მაგასაც მოესწრობი! ამხნევებდა დათა.

აღდგომა დღე იყო, კაზარმებსაც დღესასწაულის სახე მიეღოთ. ზოგიერთ თანჯრებიდგან გარმონის ხმა გამოისმოდა, უკრაინდენ „კაზაკას“ და სალდათები ცეკვავენდენ. ზოგან ერთად შეჯგუფულიყვნენ და მღეროდნენ. მეორე მხარეს კი ლაზათიანად გადაეკრათ არაყი და ლაზლიანდარობდნენ. სხვანი ბანქოს თამაშობდნენ, ზოგს გამოეღოთ სარკმელი და დაღვრემილი გაიყურებოდნენ. იქნება ფიქრით საკუთარ სახლში გადაფრენილიყვნენ და თავისიანებს დასტრიალებდნენ. გორა კი ლოგინში იწვა. დღეს უარესობა დასტყობოდა. სიკლექეს თავისი ექნა და ველარ იცნობდით ზორბა გორას. კედლისკენ გადაბრუნებულიყო, დათა კი თავით მისჯდომოდა და დაღვრემილი დასცქეროდა.

— დათა, შენი ქირიმე, შენი, უპატრონოდ ნუ მომკლავ, ჩემ დედ-მამას ხმა მიაწვდინე — გადმოტრიალდა გორა, თან საზარლად დაახველა და უცებ გულიდგან სისხლი წასკდა.

დათა გაფითრდა, როცა დაინახა ხველისაგან ჩაბეირებული ამხანაგის სახე. ქუჩყიანი ჩაიღნით წყალი მიაწოდა და დააღვივნა.

— ვაი დედი ჩემის ღმერთს. — ამოიღო ხმა. — აქ სადა ვკვდები!..

— დათა, თუ ძმა ხარ, თოფს ნულა დამანახე. რა თავი მომქონდა წინად, ჩემ ბერდენკას რო გავიდები მხარზე და ვენახში ჩიტებს ვაფრთხოვდი!.. ეეჰ!..

დაპყურებდა დათა ამხანაგს და გული ყელში ებჯინებოდა. გრძნობდა, რომ გორას წამები დათვლილი იყო.

— კბ, კბ. . წამოახველა კიდევ გორამ და ზეზე წყმონი
იწია.

— მიშველე, დათა, ვკედები... დედი... ცრემლებ მო-
რეულმა გორამ ხელები გაუშვირა დათას. დათა აკანკალებული
მიეშველა და თავი დაუჭირა.

— სუ ბიჭო, სასიკვდილო რა გკირს?!

— ვაიმე, დედილო... მამი... კბ! ნუცა გოგო, შენ და-
გენაცვლე... მური... მუ... რ... იავ.

— შშიდობით და... თა...

დათას მოთქრიალე ცრემლით იბანებოდა გორას ჯერ ისევ
თბილი პირისახე.

ელო ანდრო—ლი





კურღლის ნახოზი



აილოცოს ჩვენი ქვეყნის ბუნება!
წელს ჩვენს სოფელში კარგი მოსავალი იყო. ჩვენც მძღვრები ვიყავით და ჩვენი მეზობლებიც. ჩვენ მტერ-მეზობელ გლეხებზედ მოგახსენებთ. მართლაც კარგი ხალხია:

შრომის მოყვარე, მზნე, მოკირნახულე და მასთან გულკეთილი, რომ ჩვენ არ გვემტერებოდნენ.

• მამა ჩემი მეტყოდა: „იცოდე, შვილო, ადამიანს და ძაღლს ნუ ენდობი; ორივე ჩვენი გვარის მოსისხლე მტერიაო.“

მართალია, მე ჯერ იმოდენა გამოცდილება არა მაქვს, როგორც მამა ჩემს, მაგრამ ჩემი აზრით მამა სცდებოდა. ადამიანიც არის და ადამიანიც! ძაღლიც არის და ძაღლიც! რამდენჯერ ჩვენი მეზობლები წამომწევიან მინდორზედ, რამდენჯერ მურია ძაღლს გამოვთამაშებდით კიდევ, მაგრამ ღეთისა და თქვენი წყალობით გახლავართ ცოცხალი და უვნებელი.

სულ სხვა გახლავართ აიმ სოფლის თავადები და მათი მწევიარ-მეძებრები! მუდამ დღე იმის ფიქრში არიან, თუ როგორ და რა რიგად გააწყონ, გაანადგურონ ჩვენი გვარი და ჯიში.

არა და, მე თქვენ მოგახსენოთ, ქვეყნის საქმეებს ატყუებენ თავს?! ისევე აგცილდათ კაცხის ზარბაზანი! სმა, ჭამა, ქეიფი და ნადირობა,— აი იმათი ფიქრი და საზრუნველი.

წლევანდელი კარგი მოსაველის გამო კანში ძლივსღა ვეტყვით. გახლავართ ჩასუქებულ-ჩაკურატებული.

ი დალოცვილი ამინდიც სასურველი იდგა თვით შობამდე. არა, არც ტყუილი ვარგა: რასაკვირველია, როგორც შეჭფერის საზოგადოდ შემოდგომას, ქარ-წვიმიანი დღეებიც იყო, მაგრამ სხვებთან შედარებით წლევანდელი წელიწადი დალოცვილი იყო.

სწორედ შობა ღამეს, როცა შრომით დაქანცული გლეხკაცობა შუაგულ ძილში იქმნებოდა, მე და ჩემს ცოლს კი ბარემ ორი პირი ძილი გვქონდა გათავებული, სწორედ ამ დროს ნაცრისფერმა ცამ გადმოაფრქვია დედამიწას ღამაში თეთრი, ფუნთუშა თოვლი. დიახ, დასთოვა ორი-სამი ვოჯის ოდენზედ, მთელი დედამიწა გათეთრდა, განსპეტაკდა.

დილაც ღრუბლიანი დადგა და ზეცა აგერ-ვეგერ თოვლის ნამცეცებს ისროდა. სოფლიდამ შემოგვესმა მზიარული სიმღერები. გავიხედე, სოფლის მოედანზე მოდის ჩვენი სოფლის მასწავლებელი თევდორე თვისი ორი ვაჟით. აქედამვე შევაძინე, რომ ჩვენს თევდორეს წვერი მოეპარსა და ულვაში ძალზე უბზინავედა.

ალბად, ხაციც ნაკამი იქნებაო,— მითხრა ჩემმა მეუღლემ.

უთუოდ ის ტახი გადააგორა თევდორემ, რომელიც მუდამ დღე აქ დაღრუტუნობდა და თავის მძლავრი დინგით გვიფუჭებდა ხოლმე ბუჩქებს,— გამიელვა აზრმა თავში და სიხარულმა ამიტაცა. სიხარულის გამოსახატავად ერთი ორი შევიკუნტრუშე. ბუჩქი შეინძრა და ზევიდამ თოვლი ჩამოცვივდა.

— რას შვრები, შე ცეტო, რა დროს კუნტრუშია? ვერ ჰხედავ, აგერ მოდიანო,— მითხრა ჩემმა მეუღლემ. მართლაც

თვედორეს უმცროსი შვილი გაბრია თოვლს იკვლევდა ჩვენს ბუჩქისკენ. ჩვენ გავლურსდით. გაბრია დაგვდგა და თქვა: ერთი ორი შეანძრია ბუჩქი, ჩამოიხედა კიდევ, მაგრამ ვერა შეამჩნია რა. ვერ დაგვინახა ერთი იმიტომ, რომ ჩვენი ბუჩქი ხშირ ტოტიანი იყო და მეორეც იმიტომ, რომ ჩვენი ქურჭი საგანგებოდ არის დახატული: ალაგ მოწითანო, ალაგ ნაცრის ფერი და ალაგ თეთრი. სწორედ ისეთივე, როგორი ფერიცა აქვს დედა მიწას, ბუჩქს და თოვლს, ესე იგი ჩვენ ირგვლივ მყოფ ბუნებას.

— რა ჰქენ, ვერ ააყენე კურდღელი? — დაეკითხა გაბრიას უფროსი ძმა ილო.

— სულაც არ იყო ი გასაწყვეტი. ბუჩქი კი ისე შეინძრა, რომ მე კურდღელი მეგონა.

— კურდღელი იქნებოდა, მაგრამ შენ ვერ შეამჩნევდი, შეილო, — უთხრა მამამ გაბრიას.

— არა მამა, თვალები დავაქყიტე, მაგრამ კურდღელი არ იყო, ბუჩქის ძირში.

— იმას, შეილო, მეძებრის სუნი უნდა, თორემ თვალი ვერას გასჭრის.

— რატომ? განა კურდღლები თვალთ შაქცნი არიან?

— სულაც არა, მხოლოდ ისე მიიმალეიან ხოლმე და ისეთი ქურჭი აქვთ, რომ თვალთ ვერც კი დაინახავ, სანამ არ გაინძრევა. აი, ხელიკაც აგრეა. სულ სილაში და ქვიშაში ცხოვრობს და კანიც სილის ფერი აქვს. სანამ არ გაინძრევა, ვერც კი შეამჩნევ. აიღე თუნდა ხის ბაყაყი: სულ მწვანეა როგორც ფოთოლი. მოდი და შეამჩნიე. ან კიდევ ფოთლის მდილი და კია-ღუები.

ასეა, შეილო, კაცისთვის ბუნებას მიუნიჭებია ჭკუა და გამოცდილება. ცხოველებისთვის კი, ვისთვის რქები, ეშვები, გაღესილი კბილები, ვისთვის გესლიანი ისარი, ხორთუმი მტრის მოსაგერებლად. კურდღელი სუსტი ქმნილებაა. არც კბალები უვარგა საკბენად, არც რქები აქვს, არც ისარ-ხორ-

თუმი. ერთია, რომ მარდია, კარგი სირბილი იცის, ენა-
გორც დაღმართში, ისე აღმართში. ამასთან ქურჭიც — ქრტილას
აქვს, ბუჩქში ძნელი დასანახავია.

აიღე თუნდა კინკრაქა *) ჰატარა ბელურას მსგავსი ჩი-
ტუნია, სულ ლობე-ყორეში რომ დაფრინავს. ვერასოდეს ვერ
დაინახავ, სანამ არ აფრინდება, რადგან სრულებით გამ-
ხმარი ფიჩხის ფერი აქვს. და ეს იცავს ამ საცოდავ ჩიტუ-
ნიას მტრებისაგან, რომელთაც ძალიან უყვართ მისი ხორცი,
როგორადაც მაგალითად ქორს, მიმინოს და სხვა მონადირე
ფრინველთ.

— უიმე, მამა! ამას წინედ კინალამ ისარი ვკარი კინკრა-
ქას, მაგრამ დედამ დამიშალა: ნუ, ნუ, შეილო, ეგ კარგი
ჩიტია, ნუ ერჩი, თორემ აიმ შეზობლის ქალი, მძიმედ რომ
არის, გაგიჯავრდებოა.

გავიხედე და მართლაც დარეჯანი აივანში იჯდა, ჩემს-
კენ იყურებოდა. იმას რატომ უნდა ეწყინოს, კინკრაქა იმისი
ხომ არ არის მეთქი, — დავეკითხე დედას. არა, შეილო, — მით-
ხრა დედამ, — იმისი კი არ არის, მაგრამ ამზობენ, რომ კინ-
კრაქა თუ შეეჩვია ისეთ ეზოში, სადაც ორსული ქალი ცხო-
ვრობს, იმ ქალს ვაყი ეყოლებოა და, ამიტომაც ორსულ ქალს
უყვარს კინკრაქაო, — მითხრა დედამ.

— მართალია, შეილო, ასეთი რწმენა აქვს ქართველ
ხალხს და ეს რწმენა, რასაკვირველია, არ არის დასაჯერე-
ბელი. ეს არის ცრუ მორწმუნეობა. თავი და თავი აზრი ამ
რწმენისა ის არის, რომ როგორც ბელურა, აგრეთვე კინ-
კრაქა და მრავალი მათი მსგავსი ჩიტები დიდ სარგებლობას
აძლევენ ქვეყანას იმით, რომ ანადგურებენ, სკამენ ყოველ-
გვარ ხეხილისათვის მავნე მატლებსა და კია-ლუებს და ამი-
ტომაც უყვარს ხალხს ეს ჩიტები, — უთხრა შეილის თევდორემ.

ამ სიტყვებზედ ჩემმა მეუღლემ ერთი მუჯლუგუნი ჩამ-
კრა წინაფეხით და ტუჩების ცმაცუნით ჩამჩურჩულა: ჰოდა,

*) ლობემძვრალა.

აბა ჩვენი საქმე ხომ დაღუპული ყოფილა; ჩვენ რა სარგებლობას ვაძლევთ ქვეყანას? ჯეჯილისა და მწვანე ფეხებისა ფუტებისათვის ვინ გეტყვის მადლობას?

ამ კითხვამ მეც ბევრი არა საიმედო აზრები აღმიძრა თავში, მაგრამ გავლურსდი და სმენად გადავიქეცე.

მობაასე მამა-შვილნი თანდათან გვშორდებოდნენ და მათი ბაასი გარკვევით აღარ ეწვეთებოდა ჩვენ ყურთასმენას.

თუ თოვლი არა, არც ამოდენ ნათქვამს მოვკრავდით ყურს, მაგრამ იმ დალოცვილმა თოვლმა ისეთი სიჩუმე იცის, რომ სულმცირე ხმაურობაც კი ისმის შორილამ.

ივანელი



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



კვლავ გაბრწყინდება



რო შეიცვლა, ბუნებამ
უკულმა იწყო ტრიალი;
სითბომ სიცივეს დაუთმო
თავისი ღროშის ფრიალი.

დღისით ბრწყინავდა შზის სხივი,
ღამით კი ვარსკვლავ—მთვარეო;

ბულბული მგზნებრად უსტვენდა,
ჰხარობდა არე-მარეო.

ახლა ღრუბლებმა შეჰმოსეს,
ლაყვარდის ფერი კამარა;
მასზე ველარ ვმზერთ მნათობებს,
ნისლ-ბული ჩამოგვეფარა.

ტურფა დღევ, გაბრწყინვებული,
წყვდიადმა დაასამარა;
ბულბულმა სტვენა შესწყვიტა,
დაფრჩით ყვავისა იმარა!..



ძირს დედა-მიწა ქვითინებს,
 ზეცა დაგვტირის თავზედა
 მაგრამ... ნუ ვწუხართ, ნუ ვდარდობთ,
 წყლულს ნუ დავიჩნევთ გულზედა,—

უკონსულნი
 ბიზლირთიანნი

კვლავ გაბრწყინდება მზის სხივი,
 დათბება, გაზაფხულდება;
 ბუღბუღი იწყებს გალობას,
 მინდორი აბიბინდება!...

დ. ელიოზიშვილი

სტეფანეშვილი ნაკვეთი



ასანთის ამბავი

ალექსანდრე ალმედინგენისა

(რუსულით)

I



არმოიდგინეთ, რომ ტრიალ მინდორში ხართ, სადაც არც სოფელია, არც აღამიანი სჩანს, თქვენ კი გზაზედ დაპკარგეთ ერთი კოლოფი ასანთი, რომელსაც ისე ადვილად ვშოულობთ ქალაქის დუქნებში. გარშემო მინდორია; ქობიც კი არსადა სჩანს, არც

კი იცით—სადა ხართ და ჯიბეში კი ასანთი აღარა გაქვთ. რა კარგია ამ დროს დასვენება, ცეცხლის გაჩენა, ხელად შეწვა რისამე, დანაყრება და შემდეგ მწვანეზედ მიწოლა და მიძინება! მაგრამ ი პატარა კოლოფი ასანთი დაიკარგა და ყველაფერი შეუძლებელი შეიქმნა. გუნება შეგეცვალოთ, მოგეწყინათ, მიღამოს სიმშვენიერე აღარ იზიდავს თქვენს თვალს, გრძნობთ, რომ იმ პატარა კოლოფთან ყველაფერი დაპკარგეთ. თითქოს განგებ დაბინდდა და ცივმა სიომ დაჰბერა, ცეცხლის გაჩენა კი შეუძლებელია: ასანთი არა გაქვთ! ასეთი დიდი რამ არის ცხოვრებაში ეს უბრალო და პატარა ასანთი.

რასაკვირველია, გეცოდინებათ, როგორ ცხოვრობდა ხალხი ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ, როცა არც ქალაქები იყო, არც დაბები, არც სოფლები, არ ჰქონდათ არც გემები, არც რკინის გზები, არ იცოდნენ არც ორთქლის ძალა და არც მანქანების გაკეთება. გაგონდებათ საშინელი დრო



წარსულისა, როცა ხალხი ცხოვრებდა მღვიმეებში, ტანჯვით ეცვა ნადირის ტყავი და საზრუნავი ჰქონდა მხოლოდ ორი რამ: საკმლის შოვნა და ნადირისაგან თავის დაფარვა. გეოლოგებთან აგრეთვე, როგორ შოულობდა იმ დროში ადამიანი ცეცხლს. ასანთი არ იცოდა, მაგრამ მაინც ცეცხლს აჩენდა საკმლის მოსახარშად, ნადირის მოსარიდებლად, იცოდა გამოწვა ხისა, რომ გაეკეთებინა ქილა ან ჯამი; გახურებული რკინით დიდრონ ხეებსაც კი ღრმად ამოსწვავდა ნავის გასაკეთებლად; ეს ყველა მართალია და ვიციტ კიდევ, მაშინ ადამიანი როგორ შოულობდა ცეცხლს, მაგრამ ეხლა, როცა ჩვენ შევეჩვიეთ ასანთს, ძნელია ისევ ისე წვალემა ცეცხლის გასაჩენად. მაშინ ადამიანი აარჩევდა გამხმარ ხეს, დაჰყრიდა ზედ მშრალ ხავსს, მერე აიღებდა მშრალ ხის ტოტს და დიდხანს უსვამდა დიდს ხეს. დიდხანს და დიდის ძალით სკირდებოდა მუშაობა. ამასობაში ხავსი აიტრუსებოდა, მერე მეტის ძალით უნდა დაებერა, რომ ცეცხლი გაჩაღებულიყო.

კაცი რომ წარმოიდგენს ამოდენ შრომას ცეცხლის გასაჩენად, რასაკვირველია, დიდ მადლობას იგრძნობს იმ პირთადმი, რომელთაც მოიგონეს ასანთი. აი ამ პატარა ასანთის საყურადღებო ამბავი.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოიგონეს ასანთი, სულ სამოცდა ათი წელიწადია, ასე რომ არიან მომსწრენი უსანთოდ ცეცხლის გაჩენისა.

როდესაც ადამიანმა გაიცნო რკინა, ისწავლა რკინის მდნის პოვნა ღეღამიწაში, მისი დადნობა და ლითონად გადაკეთება, ცხოვრება უფრო გაუადვილდა იმ დროსთან შედარებით, როცა ცულს, ჩაქუჩს და სხვა იარაღს მაგარი ტალისას აკეთებდა. რაკი ადამიანს ხელში ჩაუვარდა რკინა, ადვილად მიხვდებოდა ცეცხლის შოვნას რკინისა და ტალისაგან. უეჭვილია, ბევრს თქვენგანს უნახავს, რა რიგი ნაპერწკლები გასცვივა ხოლმე, როცა რკინის ნაქერს დაჰკრავენ ტალს.



II

საქართველოს
განმანათლებლებს

საქმარისია ერთი ან ორი დაკვესება, რომ გამოვარდა ეს ნაპერწყალი და წაეციდოს მშრალ აბედს. ხეების ხეხვით ცეცხლის გაჩენას ძალიან დიდი დრო უნდა. რასაკვირველია ტალკვესის მოგონება რკინის გაცნობის შედეგია, მაგრამ ადამიანის ცოდნა მარტო რკინაზედ არ დადგა: მან აღმოაჩინა და შეისწავლა ბევრი სხვა ლითონი და ნივთიერება, მათ შორის იპოვნა ისეთი ნივთიერებაც, რომელიც თითონვე იწებოდა. მაგალითად; წყალბადი და ფოსფორი. პირველი ჰაერგვარი სხეულია ანუ გაზი, მეორე კი მაგარი ნივთიერებაა. წყალბადით გაამსებენ ხოლმე ბავშვების სათამაშო ბუშტებს. რადგანაც ეს გაზი ჰაერზედ თოთხმეტჯერ სუმბუქია, ბუშტი წყალბადით გავსილი მალა იწვევს. წყალბადი ისევე იწვის და ცეცხლს იძლევა, როგორც მაგალითად ნავთი, შეშა და სხვა საწვავი მისილა. ჩვეულებრივ ჰაერში ძალით ანთებენ, მაგრამ თუ შეკუმშულ ჰაერს მოჰხვდა, მაშინ თავისთავად აინთება. მაშასადამე თუ გვაქვს წყალბადი და შეკუმშული ჰაერი, ყოველთვის შეგვიძლიან გავაჩინოთ ცეცხლი. საქმე იმაშია, როგორ შევეკუმშოთ ჰაერი? ადამიანის დაკვირვებამ ამის საშუალებაც იპოვნა. არის ერთი ლითონი, პლატინა, ვერცხლისავეით თეთრი და ბჰყვრიალა, გარეგნობით მთლად ვერცხლსა ჰგავს, მხოლოდ ამაზედ ორჯერ მძიმეა და ძალიან ძნელადაცა დნება. ეს ლითონი სხვადასხვა ლირსებათა გამო ოქროზედ ძვირადა ფასობს. თურმე ამ ლითონს შესძლებია ჰაერის შეკუმშვა. დაქუცმაცებული ან დაფხვნილი პლატინა გუნდად მომზადებული ისე ისევამს ჰაერს როგორც ღრუბელი წყალს. რადგანაც პლატინა ბევრ ჰაერს ისევამს, ეს უკანასკნელი აუცილებლად შეკუმშული უნდა იყოს. ეხლა გავიცნოთ წყალბადის მომზადება. ეს საქმე უფრო ადგილია. უნდა ავიღოთ შუშის ჭურჭელი გოგირდის სიმჟავით და შიგ ჩავეშვათ თუთია; ამ ორ სხეულების ერთმანეთის შეხებით ჩნდება წყალბადი, რომელიც პატარ-პატარა ბუშტებად სიმჟავიდგან

გინახავთ, რა ნაპერწკლები გაიფანტება ხუდუმე, როცა დანალული ცხენის ფეხი მოხედება ქვას? ეს ნაპერწკლები იქვე ქრება ერთს წამს, როგორც ელვა. სწორედ ასეთი ნაპერწკლები სცვივა, როცა მაგარად დაჰკრავთ რკინის ნაქერს ტალს. აბა დაათვალიერეთ ზედა პირი რკინის ნაქრისა, რომლითაც აკვერებდით. თუ წინად თანასწორი იყო, ახლა დაფხაქნილი იქნება. სწორე სასწორი რომ გქონდეთ და ასწონოთ თქვენი რკინის ნაქერი, რომლითაც აკვესებდით, ეხლა უფრო ნაკლებს აიწონს. აშკარაა, რომ როდესაც ტალსა სცემთ, რკინას პატარ-პატარა ნაქრები სცვივა. თუ რბილ ქვას დაჰკარით, რკინას ნაპერწკლები არ გასცვივა. ნაპერწკალი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა დაჰკრავთ ისეთ მაგარ ქვას, როგორც ტალია. ნასწავლთა გამოცდამ დაამტკიცა, რომ, როდესაც რკინას მაგრა სცემთ მაგარ ქვას, მტვერივით პატარ-პატარა ნაწილები გასცვივა რკინას. ჩვენი თვალი ამ ნაწილებს ვერ დაინახავდა—ისე წვრილია და თხელი ეს ნაწილები—თუ არ ხურდებოდეს და ნაპერწკლებს არ ჰფანტავდეს. ყველა პაწია ნაწილი ფოლადისა ისეთი საშინელი სისწრაფით შორდება, რომ ამ მოძრაობით ის ცხელდება და გამოკრთება ცეცხლის ნაპერწკალი. მაგრამ ამ ნაპერწკლის გარშემო ჰაერია, რომელიც საჩქაროდ აცივებს და ნაპერწკალი უცბადვე ქრება.

თუ ნაპერწკლებისა ნაკადი ერთბაშად დასცვივა გამხმარ ხავსს ან აბედს, აბედი შეიტრუსება, ღრჩოლას იწყებს; მაშინ ბეჯითად უნდა უბეროთ და აბედი აანთება. ამ რიგად, თუ მაქვთ რკინა, ტალი და მშრალი აბედი, ყოველთვის შეგიძლიანთ გააჩინოთ ცეცხლი.

მეთვრამეტე საუკუნემდე ხალხს ასანთი არა ჰქონდა და ყველას თან დაჰქონდა ტალი, რკინა და აბედი. ოჯახში კი ცდილობდნენ ნაკვერჩხალის შენახვას; ხანდახან თუ ცეცხლი ჩაქრებოდა, მაშინ ცეცხლის გასაჩენად მეზობლისას უნდა ეშოვნათ ორიოდ ნაკვერჩხალი. რომ უფრო კარგად შეიგნოთ ასანთის საჭიროება გირჩევთ ერთ დღეს უიმისოდ გასძლოთ და ცეცხლის გასაჩენად, რკინა, ტალი და აბედი იხმაროთ.

მალა ამოდის. ერთმა მეცნიერმა დობერეინერმა ესარგებლა პლატინის და წყალბადის ზემო აღნიშნულ თვისებებში და 1827 წ. გააკეთა პატარა ასანთები მანქანა, რომელსაც დაარქვეს წყალბადის კვესი. ამ მანქანით საოცარი სისწრაფით შეიძლებოდა ცეცხლის გაჩენა. ვისაც გამოეცადა აბედისა და ტალის საშუალებით ცეცხლის გაჩენა, ყველა გახარებული იყო დობერეინერის გამოგონებით. დობერეინერმა ასე გააკეთა თავისი ასანთები მანქანა: თიხის კიკაში ჩაასხა დუნე გოგირდის სიმტავე და სახურავი მაგრად დაჰხურა. ხვრელიან სახურავში გაატარა კავიანი მეთულის, რომელსაც მიბმული ჰქონდა თუთია. კიკაშივე ჩაუშვა ვიწრო მინის მილი, წყალბადის ამოსასვლელად და პირში გაუკეთა ღრუბელმაგვარი პლატინა. მეთულის ყოველ ჩაშვებაზედ თუთია ებებოდა სიმტავეს, ჩნდებოდა წყალბადათ და ამოდებოდა შუშის მილში, გზაში მას ჰხედებოდა ღრუბელმაგვარი პლატინა ჰაერით გაელენთილი და ამის გამო გახურებული ინთებოდა და იძლეოდა ცეცხლს. წყალბადის კვესმა, რასაკვირველია გაუადვილა ადამიანს ცეცხლის ანთება, მაგრამ დობერეინერის მანქანა მაინც ისე არ გავრცელებულა, რომ ტალითა და ფოლიადით ცეცხლის გაჩენა ამოკვეთილიყოს. წყალბადის კვესი ძვირად ღირდა და ხმარებასაც დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა. შეუძლებელი იყო ჯიბით ტარება გოგირდის სიმტავისა. ადვილი მოსალოდნელი იყო მისი დაღვრა და სხეულის და ტანისამოსის დაწვა.

წასული საუკუნის ოცდაათ წლებში ინგლისში გაჩნდა ახალი ასანთი, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო და საჩქაროდ გავრცელდა ევროპაში. იმ დროს რომ შესულიყავით რომელსამე თამბაქოს დუქანში და გეთხოვნათ ასანთი, მაშინვე მოგართმევდნენ პირგანიერ მინის ქალას მინითვე დახურულს და ჯიბის კოლოფს გათლილი ჩხირებით. ვაჭარი დიდი თავაზით გიჩვენებდათ ამ მინის ხმარებას: აიღებდა ერთ თეთრ თავიან ჩხირს, ახდიდა ქილას და საჩქაროთ თავით

ჩაპყობდა შიგ. მერე ამოიღებდა და გაჩვენებდათ. თქვენ გსოცებდათ იმის დანახვა: თეთრი თავი მუქდება, შიშინებს, კომლი ასდის, ბოლოს ინთება იის ფრად და დამწვარი შაქრის სუნი ასდის. ეს ბევრით უკეთესი იყო წყალმზადის კვესზე; უფრო იაფი და ადვილი სატარებელი.

„მაგრამ, ბატონო, გეტყობდათ ვაჭარი, თუ დაღვარეთ, ტანისამოსს გაგიფუჭებთ, მაშინვე დაიჩვიტება და თუ ხელზედ გადაისხით, დაგეწვით.“

აი ამ უსიამოვნებას მოგაყენებდათ ეს ახალი ასანთი. რისგან იყო ეს შედგენილი?

თეთრი თავი ასანთისა იყო ფხვნილი შაქარი ბერტოლეტის მარილში არეული. ამის გაკეთება სულ უბრალოა, მაგრამ ძალიან საშიში. შაქრის და ბერტოლეტის მარილის ერთმანეთში არევა ძალიან ყურადღებით უნდა, სიფრთხილით და თანასწორი მოძრაობით; ძრიელი განძრევით შეიძლება აფეთქდეს. ერთად არეულს შაქრის ფხვნილს და ბერტოლეტის მარილს დაესხმენ სქელ წებოს და ამ რიგად შესდგება ცომის გუნდასავით, რომელშიც პატარა ჩხირის თავს ამოავლებენ. განიერ პირიან ქლაში ჩაახამენ გოგირდის სიმეავეს; რომ ადვილი სახმარებელი იყოს ჩაპყრიან დამტვრეულ მინას.

რასაკვირველია, ყველას ესმოდა, რომ ამ გამოგონებასაც დიდი ნაკლი ჰქონდა.

ამიტომ ჯერ არც კი გავრცელებულიყო, რომ მიმართეს ზემოდ მოხსენებულ ნივთიერებას—ფოსფორსა, —რის ამბავსაც ეხლა ვაგაყენებთ.

ელ. ანტონოვსკისა.





სინათლა და შიში მნიშვნელობა

(გაგრძელება).



ოგორც ზევით ნათქვამიდან ვიცი
სინათლის სხივი წარმოადგენს სწორ
ხაზს და ამ სწორ მიმართულებას ინა-
ხავს ის ყოველ გამსკვირვალე სხეულ-


ში: ჰაერში, შუშაში, წყალში და სხ., რის გამოც ჩვენ ასე ადვი-
ლიად ვსარგებლობთ სინათლით. მაგრამ თუ სხივი ერთი სხეუ-
ლიდან, ანუ ერთი წრიდან, მეორეში გადავიდა, მაშინ ეს
ნათელი სწორი ხაზი—სხივი—გაილუნება ანუ, როგორც ამბო-
ბენ, გადასტყდება ხოლმე: აქ, ამ ორი წრის საზღვარზე, ის
თავის გზას უცებ გადაუხვევს, გამოიცივლის მიმართულებას და
შემდეგ პირდაპირ წავა ჩვეულებრივად ავხსნათ ეს მოვლე-
ნა ცდის შემწეობით. ამ მიზნისთვის ჩვენ გამოგვადგება სხი-
ვების ნათელი ზოლი, რომელიც შემოდის ბნელ ან ცოტა-
თი დაბნელებულ ოთახში. დავახვედროთ ასეთ ზოლს (სუ-
რათზედ ეს ზოლი სამი ხაზითაა აღნიშნული) წყლიანი შუ-
შის კურკელი (სურ. 7) ისე, რომ სხივები დაბრილად ეცე-
მოდეს წყალს, 1) და გაუქვიტოთ წინა გვერდიდან კურ-
კელს,— ჩვენ დავინახავთ, რომ იქ, სადაც თავდება ჰაერი,



და წყალი იწყება, ზოლი იღუნება და უხვევს სწორ გზას:



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9

აქ წყალმა გადატეხა სხივები და გამოაცვლევინა გზა. შემდეგ კი, წყალში, როგორც აღნიშნულია სურათზედ, სხივები პირდაპირ მიდიან. მოვახდინოთ კიდევ შემდეგი ადვილი ცდა: ავიღოთ ცარიელი პატარა კოლოფი არაგამსკვირვალე კედლებიანი (ზისა, თუნუქისა) და მოვუდგათ გვერდით ანთებული სანთელი (სურ. 8) ისე, რომ მარჯვენა გვერდის ჩრდილი ჰფარავდეს კოლოფის ძირს, მარცხენა კედელი კი შიგნიდან სრულიად განათებული იყოს ამ სანთლით; შემდეგ, — ნუ დავძრავთ სანთელს და კოლოფს — ისე გავესოთ იგი (კოლოფი) წყლით. მაშინ (სურ. 9) ჩრდილი დამოკლდება, და კოლოფის ძირის მარცხენა ნაწილი განათდება. პირველ შემთხვევაში (სურ. 8), როდესაც კოლოფი ცარიელი იყო, ჰაერში სხივები მიდიოდნენ პირდაპირ ხაზზედ აბზ და კოლოფის ძირს არ ეკარებოდნენ; მეორე შემთხვევაში

კი (სურ. 9), როდესაც წყალი შეხვდა სხივებს გზაზედ, ისინი წყალში შესვლის დროს გადასტყდნენ, წავიდნენ ახალი გზით ბზ და გაანათეს მარცხენა ნაწილი კოლოფის ძირისა.

სხივების გადატეხვით აიხსნება ბევრი მოვლენა, რომლებიც პირველი დაკვირვების დროს აოცებენ ადამიანს, მაგალითად, წყალში რომ ჯოხი ჩავაყუდოთ დაჰხრილად (სურ.

1) თუ სხივი სწორად, არა დახრილად, შედის ერთი წრიდან მეორეში, მაშინ ის მიმართულებას არ იცვლის და სწორადვე განაგრძობს თავის გზას.

10), ის გაღუნული მოგვეჩვენება. მიზეზი ამ მოვლენისა მდგომარეობს, რომ სხივები, რომლებიც ჯოხს წყლიდან პაერში გამოსვლის დროს იღუნებიან, და ამის გამო ჯოხიც გაღუნული მოჩანს. სქელ შუშაში რომ გავჭხედოთ ცალი თვალით ანთებულ სანთელს, სანთელი დაბლა დაწეული მოგვეჩვენება, რადგანაც შუშაში გატარებული სხივები ტუდებიან და ახალ მიმართულებას ღებულობენ; თუ გავსწევთ შემდეგ შუშას მთლად განზედ, ჩვენ გვეგონება, ვითომ სანთელია ზევით აიწია, თითქოს უცებ გაიზარდაო, რადგანაც იმის სხივებს ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღარაფერი ღუნავს, და სანთელი თავის ნამდვილ სიმაღლეზე მოჩანს. საზოგადოდ, სინათლის სხივის მიმართულებაზე დიდი გავლენა აქვს ნივთიერების თვისებას, და ზოგი (ნივთიერება) ასე სტებს სხივს, ზოგი ისე, და აქედგან წარმოდგება მრავალი საინტერესო მოვლენა ბუნებაში.



ს.ს. 10

წყლიდან პაერში გამოსვლის დროს იღუნებიან, და ამის გამო ჯოხიც გაღუნული მოჩანს. სქელ შუშაში რომ გავჭხედოთ ცალი თვალით ანთებულ სანთელს, სანთელი დაბლა დაწეული მოგვეჩვენება, რადგანაც შუშაში გატარებული სხივები ტუდებიან და ახალ მიმართულებას ღებულობენ; თუ გავსწევთ შემდეგ შუშას მთლად განზედ, ჩვენ გვეგონება, ვითომ სანთელია ზევით აიწია, თითქოს უცებ გაიზარდაო, რადგანაც იმის სხივებს ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღარაფერი ღუნავს, და სანთელი თავის ნამდვილ სიმაღლეზე მოჩანს. საზოგადოდ, სინათლის სხივის მიმართულებაზე დიდი გავლენა აქვს ნივთიერების თვისებას, და ზოგი (ნივთიერება) ასე სტებს სხივს, ზოგი ისე, და აქედგან წარმოდგება მრავალი საინტერესო მოვლენა ბუნებაში.

სხივების მიმართულებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხეულის გარეგან ფორმასაც. მაგალითად, ოთხკუთხი შუშა ერთნაირ მიმართულებას აძლევს სხივებს, სამკუთხი მეორე ნაირს და სხ. ამ მხრივ ერთს შეტად საინტერესო აპპარატს წარმოადგენს ეგრედ წოდებული **ლინზა** ანუ **ლუპა**, რომელიც ბევრ დიდმნიშვნელოვან საქმეში ეხმარება ადამიანს და დაუფასებელ სამსახურს უწევს. ეს არის სათვალის მსგავსი მრგვალი მუშა, ორივე მხრივ გამობერილი (სურ. 11). ამ შუშას ის განსაკუთრებით თვისება აქვს, რომ მასში გატარებულ სხივებს, გადატეხვის შემდეგ, ერთად უყრის თავს, ერთ წერტილში რის გამოც იმას თავის მომყრელ შუშას ეძახიან. ეს მოვლენა ადვილი შესამოწმებელია, თუ იშოვით ლუპას. ლუპა იყიდება ოპტიკურ მაღაზიებში, სადაც სათვალეებს, ბინოკლებს და სხვა ამის მზგავს



ს.ს. 11

აპპარატებს ჰყლიან, და ძვირიც არ არის. მიუშვირეთ ლუბა (ს. 12) მზის პირდაპირ სხივებს და მეორე მხრიდან მრუდხაღმავლეთ ნელ-ნელა ქალაღდი. ერთ ალიაგას ლუბის ახლოს, ამ ქალაღდზედ დაინახავთ განათებულ წერტილსა ა. განათების გარდა;



სურ. 12

ამ წერტილში ემჩნევა ძლიერი სითბოც: თუ ცოტა დავაცალეთ ასეთ მდგომარეობაში ქალაღდს, ის ამ წერტილში ნელ-ნელა გაიწვიოს; ხელი რომ მიიტანოთ იქ, ქალაღდის შაგიერად, დიღხანს

ვერ გააჩერებთ, რადგანაც ხსენებულ წერტილთან მომეტებულ სიციხეს იგრძნობთ; ასანთს იქ შალე ცეცხლი გაუჩნდება... ასეთი თვისებების გამო ამ წერტილს დაარქვეს ფოკუსი, რაც ათინლოურად ნიშნავს კერას, ადგილს, სადაც ცეცხლი ინთება. გასაოცარი საქმეა! ლუბამ ისეთი ძალი მისცა მზის სხივებს, რომ მეტი სინათლე და მეტი სითბო-ცეცხლის გამომწვევი ტემპერატურა ჩნდება იქ, სადაც წინად არაფერი მსგავსი არ ხდებოდა. ეს გარემოება ლუბის ფორმაზეა დამოკიდებული, და ცალკე შუშა კი რიგორც ნივთიერება, ასეთ გავლენას ვერ იქონიებს სხივებზედ; მაგალათად, ჩვეულებრივ პრტყელ შუშაში (ფანჯარის შუშაში) რომ გავატაროთ სხივები, მსგავს მოვლენას ვერასოდეს ვერ შევნიშნავთ.

ი. მოხეშვილი





ნაკოლეონ ზონაკარტი

(თარგმანი)

II

ძია-მღვდლის ბაღის ხილი



ნაკოლეონი ცოტა ხანს კიდევ დარჩა გამოკვებულთან, და როცა დაატყო, რომ გვიანდებოდა, შინისკენ წავიდა. ის პირდაპირ სასადილო ოთახში შევიდა, რადგანაც წყალი სწყუროდა და ჭიქა უნდოდა. ოთახში რომ შევიდა, მოესმა განჯინის კარის ხმა, მერე კაბამ გაიშრიალა და, რადგანაც კაბა თეთრი იყო, ნაკოლეონმა გადასწყვიტა, რომ იმისი ერთერთი და უნდა ყოფილიყო. განჯინას რომ მიუახლოვდა, სრულიად გადააფიწდა წყურვილი, ისე გააოცა ნახევრამდინ დაცარიელებულმა ხილის კალათმა.

— ეს ვინ გაბედა? — წამოიძახა იმან, — ვინ გაბედა ძია მღვდლის ბაღში დაკრეფილ ხილის შექმა?

ბავშვი გაშტერებული დასცქეროდა ხილს, როდესაც უკან იდან მოესმა ძია-მღვდლის ბოხი ხმა:

— აქ რას აკეთებ, ნაპოლეონ? განა არ იცი, რომ დაუკითხავად არ შეიძლება საკმლის აღება?

— მე არა ამიღია-რა, — უპასუხა ნაპოლეონმა.

ამ დროს გაურბინა აზრმა, შეიძლება ხილის შექმა მე დამბბრალონო, და საშინლად გაწითლდა.

მღვდელს არც ეს დარჩა შეუმჩნევლად და დაუყვირა: ნუ ტყუი, ნაპოლეონ!

— მე არას დროს არა ვტყუი, ძია, — ამაყად უპასუხა ბავშვმა.

ამ პასუხმა უარესად გააჯაგრა მოხუცი.

— ჯერ არ ვიცი, რაშია საქმე, — მაგრამ გავიგებ, გირჩევ, ეხლავე გამოტყდე და გაპატიებ კიდევ... აბა სარკეში ჩაიხედე, რა რიგად გაწითლდი.

— ჩემი სახე ტყუის, მე კი არა, უპასუხა პატარა ბიჭმა.

— მაშ რას აკეთებ აქ მარტოდ მარტო?

— მინდოდა წყალი დამეღია.

— ეგ არაფერი, კიდევ?

— სხვა არაფერი.

— შერე, დალიე?

— არა ჯერ.

ძიამ თავი გაიქნია.

— წყლის დანალევად მოხვედი და არ დაგიღევია. მე ეგ საეჭვოდ მიმაჩნია; ეს კი გახსოვდეს, თუ სიმართლე სხვისგან გავიგე; ცუდი ღლე დაგადგება. არ გაპატიებ არაფრის გულისთვის.

ამ დროს მოვიდნენ კარლ ბონაპარტი, ძია ფეში და ნაპოლეონის უფროსი ძმა იოსები. დაიწყეს პოლიტიკაზე ლაპარაკი და მღვდელს დაავიწყდა დამნაშავე ძმისწული. ბავშვი კი საცალა კუთხეში დაიმალო და ვერ დამშვიდებულებო უსაფუძვლო შეურაცხყოფისაგან.

— ღვთის მშობელო დედაო! ვინ შესკამა ხილი? — დაიყვირა სევერიამ, განჯინა რომ გააღო.



ყველამ იმისკენ მიიხედა

— ეხლა კი გავიგე მართალი! — სთქვა მღვდელმა და მიუახლოვდა ნაპოლეონს.

— მე ხელი არ მიხლია, — უპასუხა გაფითრებულმა ბავშვმა.

— დაუძახეთ ყველას! — ბრძანა ძია მღვდელმა. მაშინვე თავი მოიყარა ხუთმა ბავშვმა: ორმა ქალმა და სამმა ვემა.

III

გამოძიება

— ვინ აიღო ძია-მღვდლის ხილი? — ჰკითხა კარლ ბონაპარტი და დააწყერდა ბავშვებს.

— მე არ ამიღია! არც მე, არც მე — გაისმა ყვირილი. მხოლოდ ელიზას ხმა მოისმა ოდნავ.

— არც შენ, ნაპოლეონ?

— ზომ ვსთქვი, არა მეთქი.

— ტყუი, — უთრხრა სევერიამ.

— დედაკაცი რომ არ იყო!.. — წაილაპარაკა ნაპოლეონმა და ასწია ხელი, თითქოს დარტყმას უპირებდა.

— რას ჩადიხარ! — დაუყვირა მამამ.

— რასაკვირველია შენ აიღე. — ყვიროდა სევერია, — მე სულ აქ ვიყავი, შენს და დეკანოზის მეტი არაფერ შემოსულა. იქნება თქვენ თითონ აიღეთ, მიუბრუნდა დედაკაცი მღვდელს.

— საუბედუროდ არა, მე არ ამიღია, — უპასუხა მღვდელმა. დიდად მოხარული ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ეგ დანაშაული ჩემზე მივიღო და ნაპოლეონის სიკრუვე არ ვნახო.

— განა ფანჯრიდან არ შეიძლება გადმოძრომა, — ჩუმად წაილაპარაკა ნაპოლეონმა, რადგანაც ეშინოდა დაბეზღებად არ მიეღოთ.

— შენ იყავი, შენ და სხვა არაფერ, — გააწყვეტინა სიტყვა სევერიამ და მივარდა ბავშვს, მაგრამ უკანასკნელი გაუსხლტდა ხელიდან და მივარდა ბიძას ყვირილით:



— გარწმუნებთ, არა ვარ დამნაშავე.

— ტყუილის მაგივრად, გამოტყდეთ, გირჩევენ თქვენს მამამ.

— მართალს გეუბნება მამა, — დაუმატა ძია მღვდელმა.

— რა ვქნა, რომ ხელი არ მიხლია! პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ხელი არ მიხლია, — იძახდა კრემლ-მორეული ბავშვი.

— გამოტყდით, აპატიებენ, — წასჩურჩულა იოსებმა, — ხომ აპატიებთ, ძია, რომ გამოტყდეს?

— რასაკვირველია.

— არ ამიღია და ძალათი გინდათ მათქმევინოთ; მე სულაც არ მინდა ვიტყუო.

— გამოტყდით, — შეეხვეწა ლიუციანი.

— გამოტყდით, ძამიკო, — წასჩურჩულა პოლეტამ.

მხოლოდ ელიზა იდგა გაჩუმებული.

— ეხლა ხუთი წუთი აკლია შვიდ საათს. ამ ხუთ წუთს საფიქრებლად გაძღვე და, თუ არ გამოტყდები, შვიდ საათზე სევერიის წკებლებს გაიცინობ.

— წკებლები ძალღებისთვის არის, ბავშვებისთვის კი არა, — დაიძახა გულმოსულმა ნაპოლეონმა.

— ბავშვებსაც უხდება, როდესაც ტყუიან, — უთხრა მამამ.

— თუ ეგრეა, მე არ დამიმსახურებია წკებლები, რადგანაც არა ვტყუი.

ბავშვს თვალები უბრიალებდა, გულ-ხელი დაეკრიფა, ერთი ფეხი წინ გამოედგა და ისე იდგა. უფროსები ვახშამს აპირებდნენ.

ხუთი წუთი დიდი ხანია გავიდა. პატარა პოლეტა მიეპარა ძმას, რომელიც ისევ დაცარიელებულ კალათთან იდგა, და წასჩურჩულა:

— საწყალო, საცაა გცემენ. გაიპარე, დაიმაღე სადმე.

— გავიპარო! არას დროს! — ზიზღით უპასუხა ძმამ.

— მაშ გცემენ.

ცივი ოფლი დაასხა ბავშვს, მაგრამ ხმა არ ამოიღო.
— სთხოვე მაინც, გაპატიონ, ან თუ გინდა შევტოხო
შენ მაგიერად.

ნაპოლეონმა მხარზე ხელი დაადო პატარას.

— თავი დაანებე მეგას—უთხრა კარლ ბონაპარტმა პატარა
ქალს:—თავისი ბრალია. ხომ მოგცეს საფიქრებლად ვადა,
ეხლა მოდი სთხოვე პატიება ბიძას.

ნაპოლეონი არ იძროდა.

— არ გესმის, რას გეუბნები?

— შესმის.

— რაღას ფიქრობ?

პოლეტამ ხელი ჰკრა ძმას, რადგანაც ის ისევ იდგა.

— მიდი,—სთხოვა პატარამ.

ნაპოლეონმა უფრო უკან დაიწია. მაშინ იოსები, რომელიც უფროსებთან ვახშობდა, მიუახლოვდა ძმას, მოსკადა ხელი და უნდოდა მიეყვანა ბიძასთან, მაგრამ ვერ დასძრა.

— რა კერპი ხარ! რატომ არა სთხოვ, გაპატიონ?—უთხრა იოსებმა.

— დამნაშავე რომ არა ვარ.

— მაშ არ გინდა? სევერია, წაიყვანე ეს კერპი სამზარეულოში და შენ იცი, როგორც მოექცევი.

სევერიამ ხელში აყვანილი გაიყვანა ნაპოლეონი სამზარეულოში. პატარა ხანს უკან გაისმა წკეპლის ცემა, ბავშვს კი კრინტიც არ დაუძრავს.

თ. ბაქრაძე





მადლიერი ლომი

(რომელოთა თქმულება ვ. სვეტლოვისა.)



მ დღეს, რომელოზედაც აქა ვწერთ, კალიგულა კარგს გუნებაზედ იყო. დილით, მისი საუზმის დროს, რამდენიმე კაცი აწამეს და სიკვდილით დასაჯეს, რის გამოც დაკმაყოფილებული იყო მისი სიხლისმსმელი გული.

როდესაც ყველა დაშვიდდა, ისევ გაისმა საყვირის ხმა და მოედანზედ გამოიყვანეს გლადიატორი და ფოცხვერი. მხეცი ჩასისბლიანებული თვალებით მივარდა გლადიატორს



და დაიწყეს ბრძოლა. გლადიატორი წაიქცა, ფოცხვერი შეიქცა, ვარდა და ნაფლეთ ნაფლეთად აქცია. სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა და მორწყო ყვითელი ქვიშა.

გაისმა ღრინა ცელი და სიცილი, ხალხი მზიარულობდა. მაგრამ ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ღომას, რომელზედაც წინა დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა.

აი გაიღო რკინის კარი, ერთი კარიდგან გამოვიდა ანდროკლი. იმან ჯერ არ იცოდა, რომელ მხეცს მისცემდნენ შესაქმელად.

ანდროკლი მივიდა ცეზარის ლოჯასთან, მოიდრიკა მუხლი და სალამი უძღვნა. ყველას თვალი მიმართული იყო მეორე კარზედ, საიდგანაც უნდა გამოსულიყო ღომა ან ფოცხვერი.

ანდროკლიც შიშით ამ კარს უყურებდა.

ანდროკლი ვერ წარმოიდგენდა, რომ გლადიატორად გახდიდნენ, მერე იმ გლადიატორად, რომელთაც ხალხის გასართობად მხეცებს აძლევდნენ დასაფლეთად. ისინი გამოდიოდნენ საბრძოლველად უიარალოდ, თითქმის ტიტველნი და წინადვე განწირულნი იყვნენ სასიკვდილოდ.

დიღბანს არ ი ემა თავისუფლება საწყალმა. იმას სიკვდილით დასჯა გადუწ ვიტა აფრიკის გამგებელმა და უეჭველია მსაჯულთაგანაც დამტკიცდა ეს სასჯელი.

საშინელი გულის ცემით უყურებდა ანდროკლი დაბალ კარს, საიდგანაც ნადირი უნდა გამოსულიყო მის ჩასანთქმელად.

და აი მცველებმა გააღეს კარი.

მოედანზედ გამოვარდა აფრიკის მშვენიერი ღომა.

მაყურებელთ აღტაცებით შეჰყვირეს. ღომა საკვირველი ღონიერი და ლამაზი იყო.

რამდენიმე ნაბიჯი წასდგა, დაინახა თავისი მსხვერპლი და მიპარვით, კატის მიხვრა-მოხვრით ნელ-ნელა მიუახლოვდა.

ხალხმა ხმა გაკმინდა.

ანდროკლი გონს ვერ მოსულიყო გაოცებით. ეს ხომ მისი ლომია! ლომი, რომელიც მან სიკვდილისაგან დაიხსნა უდაბნოს კარდში. უცბად მის გულს თითქო ლოდი მოეშვა.

ეს ხომ მისი მეგობარია! მაგრამ იცნობს კი ლომი ანდროკლს?

ლომი მივიარდა, ანდროკლმა კარგად შენიშნა მის თვალებს შხეცური სიაფთრე.

ამ დროს ლომის თვალები შეხვდა ანდროკლის თვალებს და ნადირი უცბად შეჩერდა, თითქო ვაშეშდაო.

ნელი ნაბიჯით გაიარა მოედანი, მივიდა ანდროკლთან და... ხელი აულოკა. ანდროკლი კისერზედ მოეხვია.

ლომმა მიუალერსა, თავი წაუსვა ფეხებზედ და ხელები აულოკა. ბოლოი მშვიდობიანად დაწვა ანდროკლის ფეხით.

ხალხი გაოცდა, გაშტერდა.

გაისმა ხალხის აღტაცების ტაში.

თვით ცეზარი გააშტერა ამ სანახაევმა. დიდი ყურადღება მიაქცია და გაგზავნა თავისი მხლებელი გასაგებად, რას ნიშნავდა ეს ამბავი.

შეშინებული მხლებელი ნელ-ნელა მიუახლოვდა ლომს ხელში მახვილით.

ლომი გაინძრა და გაშმაგებულმა უხედა ცეზარის გამოგზავნილს. ანდროკლმა ხელი გადუ'ვა და ლომი დამშვიცდა.

მაშინ ანდროკლმა უამბო მოგზავნილ კაცს თავისი ამბავი. ისიც დაბრუნდა ცეზართან და გადასცა მონის ნაამბობი.

ბოროტი ცეზარას გულიც-კი მოღბა ამ ამბით. ცეზარს დიდი ხანი იყო აღარ ახსოვდა მადლობის გრძნობა და აღარც-კი სჯეროდა, რომ ეს გრძნობა იყო ქვეყანაზედ, მოგონილი ეგონა. და აი ახლა თავის თვალით ნახა, რომ გრძნობა მადლობისა ყოფილა არამც თუ აღამიანთა შორის, პირუტყვთა შორისაც-კი.

ცეზარი წამოდგა სამეფო ტახტიდგან და გადაიხარა ყვავილებით მორთულ მოაჯირზე.

— მონაე ანდროკლ! დაუძახა ცეზარმა, ლომმა, შენ არა გაენო-რა, ასეთია ძალა ღმერთებისა. მიპატრებია შენთვის სიკვდილით დასჯა და გამითავისუფლებიხარ მონობიდან!

ანდროკლი მუხლებზედ დაეცა.

საზოგადოება აღტაცებით მიეგება ამ იშვიათ ამბავს: სი-ცოცხლის მინიკება იქ, სადაც მხოლოდ შწარე სიკვდილი ელოდა ყოველ განწირულ ადამიანს, ყველა ქებას და ღიღებ-ბას შესძახოდა ცეზარს.

სიყვარულით მოეხვია ყელზედ ანდროკლი ღოშს და მასთან ერთად გავიდა იქიდან.


— მე მოგიჩინე შენ იარა, ეუბნებოდა ღოშს მიმავა-ლი, — შენ კი მიხსენ სიკვდილისა და მონობისაგან, რომე-ლიც სიკვდილზედ უარესია. შენ მეგობარი ხარ ჩემი. ვიცო-დი, რომ შენ მადლიერი მეგობარი ხარ და, როდესაც დაგი-ნახე, დარწმუნებული ვიყავ, რომ ხელს არ მახლებდი. ამის შემდეგ მე და შენ განუშორებელნი ვიქნებით.

ანდროკლს მოაგონდა თავისი ბატონი, რომელიც ჯერ არ მოსულიყო რომში. რა რიგად გაწყრებოდა, როდესაც შეიტყობდა, რომ ცეზარმა მისი მონა გაათავისუფლა!

გული აევსო მისი სიძულვილით, მაგრამ მადლობის გრძნობამ ღოშისადმი უფრო მეტი ალაგი დაიჭირა მის გუ-ლში და დაუყუჩა ბოროტი და უკეთური ფიქრი.

ელ. ანტონოვსკისა





მითვლბია

ბრძალის ომი

აფროდიტა ქალღმერთთან შებრძოლება



ღევამოსილმა დიომედესმა, შენიშნა თუ არა რომ დაქრილი ენესი აფროდიტა ქალღმერთმა მოაშორა ბრძოლის ველს, დაუყონებლივ გამოუდგა საომრად ქალღმერთას.

გმირთა გმირმა ელვის სისწრაფით გააპო მეომართა რაზმები და მიაშურა იმ მხარეს, საითკენაც გაემართა აფროდიტა ქალღმერთი თავისი დაქრილი შვილით ენესით. დიომედესს ათინა ქალღმერთისაგან წინასწარ ჰქონდა განზრახული,

რომ აფროდიტა ქალღმერთს უშიშრად შებრძოლებოდა, თუკი სადმე ბრძოლის ველზედ მას თვალს მოჰკრავდა და მარჯვე დროს ხელთ იგდებდა. ელლინთა გმირთა გმირი მოეწია ბრძოლის ველზედ ქალღმერთას, მძლავრად ხელში მოიმარჯვა მშვილდისაჲ და, რაიცა ძალი და ღონე ჰქონდა, მარად სტყორცნა ისაჲ ქალღმერთას ნაზ ხელებში. მძლავრნატყორცნმა ისარმა ერთიანად გაიტანა აფროდიტას ღეთებრივი ტანთსაცმელის სახელოები და მარად დასკრა ქალღმერთი. ღეთებრივი სისხლი აფროდიტა ქალღმერთისა ავადულებრ გადმოსჩქეფდა ნაზი ხელის ქილობებიდან და მიწას მარგალიტებრ ეწვეთებოდნენ. ქილობისაგან დასუსტებულმა ქალღმერთამ ხელი შეუშვა თავის საყვარელ შვილს ენესს. გახარებულმა დიომედესმა ხმა მალღად შეჰყვირა: „ენეს, ახლა ხომ მაინც ვერსად გამეჰქცევი!“



ის იყო ელლინთა გმირს ენეასისათვის უნდა ეტყუოდა ისარი, რომ ამოლონ ღმერთმა უეცრივ შებურა ქალღმერთის საყვარელი შვილი შავი ნისლით და ამრიგად გადააჩინა იგი აუცილებლივ სიკვდილს.

დიომედესი ფეხ და ფეხ მიზღვედა აფროდიტა ქალღმერთს და მრისხანებით შეჰყვიროდა: „დროა, დრო, საჩქაროდ განშორდებოდეს ბრძოლის ველს, ზევსის ქალო! განა საქმარისი არ არის, რომ ამოდენ ხანს ქალის უქუო გონება განაგებდა ბრძოლის ვითარებას? დაუყონებლივ დასტოვე ბრძოლის ველი, და დეე თვით ორთავე მხარეს მემომრებმა განაგონ თავისი სვებედი, თვითონ გასცენ ერთი მეორეს პასუხი ღმერთების დაუხმარებლივ“!

აფროდიტა ქალღმერთი ღმერთების შიკრიკის ირისის ხელგებზედ მისვენებული დაუყონებლივ ბრძოლის ველიდან გაეშურა თავის ძმის, ომიანობის ღმერთის არესისაკენ, რომელიც ბრძოლის ველის მახლობლად იჯდა და ორთავე მხარეს მებრძოლთა თავგანწირულებას უთვალთვალავდა.

აფროდიტა ქალღმერთი მუხლების მოდრეკით, თვალცრემლიანი, შეევედრა თავის საყვარელ ძმას არესს ოლიმპოსამდის ეტლი მათხოვეო. არესმა დაუთმო თავის საყვარელ დას თავისი სამხედრო ეტლი. აფროდიტა ქალღმერთი ჩაჯდა ეტელში, გვერდით მოისვა ღმერთების შიკრიკი ირისი და ელვის სისწრაფით გაეშურა ღმერთების მამათმთავრის სამფლობელო ოლიმპოსისაკენ.

ელვასავით სწრაფმა არესის ცხენებმა დაუყონებლივ მიჰგვარეს დაქრილი აფროდიტა ქალღმერთი ოლიმპოსის მწვერვალს. ქალღმერთი შევიდა თავის საყვარელ დედა დიანასთან. დედამ ღმობიერად გულში ჩაიკრა თავისი საყვარელი ქალი და ცრემლების ღაბა-ღუბით შეეკითხა თავის ქალს: „ჩემო საყვარელო და ძვირფასო ქალო! ვინ გაბედა, მომაკვდავთა შორის, ასე თავხედათ მოქცევა! ვინ გაბედა უკვდავი ქალღმერთას დაქრა“!

აფროდიტა ქალღმერთამ, რომელსაც ამ დროს ცრემლები თვალთაგან ნაკადულებრ გადმოსჩქეფდა, ასე უპასუხა



თავის საყვარელ დედას: „საყვარელო და ძვირფასო დედავ! მომაკვდავთა შორის აბა ვინ ვაბედავდა ჩემს დაქრას გარდა თავხედი დიომედისა! და მერე იცი რატომ? მე განვიზრახე ჩემი საყვარელი შვილის ენეასის სიკვდილისაგან გადაარჩენა. მე რომ არ მივშველებოდი, თავხედი დიომედესი ჩემს საყვარელს შვილს აუცილებლივ სიკოცხლეს გამოასალმებდა. როცა თავხედმა ჩემის თანდახმარებით ენეასს ვერა დააკლო, მე გამომიდგა და ისრით ასე თავხედათ დამჭრა. ჩემს ტკივილებს, საყვარელო დედავ, საზღვარი არა აქვს, ვიტანჯები, ჩემი ღვთაებრივი სისხლი უხვად მიწას ებკურება! ხედავ, დედავ, ომი ახლა მარტო აქვევლებსა და ტროადელებ შორის კი არ სწარმოებს, თავხედი აქვევლები უკვდავ ღმერთებსაც კი ეომებიან! განა მოსათმენია, რომ მომაკვდავები ისე გაკადნიერდნენ, რომ უკვდავ ღმერთების წინააღმდეგაც გაილაშქრონ და ესეთი მწუხარებაც კი მიაყენონ მათ, როგორც მე მომაყენეს! არა და არა, ეს ყოვლად შეუწყნარებელია, ესეთს მათ თავხედობას ბოლო უნდა მოელოს! აქვევლები ესეთის თავგასულობისათვის უსათუოდ ღირსეულად უნდა დაისაჯონ! ამას უეჭველად მოითხოვს ღმერთების თავმოყვარეობის დაცვა!“

დიანა ქალღმერთამ მობანა თავის საყვარელ ქალს კრილობა და წასცხო კრილობებზედ მსწრაფელ გასაკურნებელი წამლები. შემდეგ ალერსით გულში ჩაიკრა დედამ თავისი ქალი და ღმობიერად უთხრა: „შვილო, ნუ გეშინია, შენს კრილობებს დაუყოვნებლივ გავკურნავ! აქვევლების თავხედობის შესახებ ღმერთების მამამთავრს, ყოვლად შემძლებელ ზევსს მოვახსენებ და ვეცდები მათ სამაგიერო სასჯელი მიუძღვნა და ღირსეულადაც დავსაჯოთ!“ აფროდიტა ქალ-ღმერთს აუტანელი ტკივილები უეცრივ დაუამდა და იგი მართლაც დაუყოვნებლივ განიკურნა შიძიმე კრილობებისაგან. ჰერა და ათინა ქალღმერთნი ნიშნის მოგვებით დასკინოდნენ აფროდიტას და ზევსს. ხუმბრობით ემასლაათეზოდნენ: „სჩანს,

აფროდიტა, დღესაც რომელიმე აქვეყელ ქალს ტროადაში გადახვეწას უჩვენდა! როცა იგი ესეთ რჩევას აძლევდა აქვეყელ ქალს და სიყვარულით გულმკერდზედ ხელებს უფათურებდა, სჩანს მან აქვეყელი ქალის მდიდრულ ტანთსაცმელის ნემსკავებს ხელი ჩამოკრა და გაიკაწრა თავისი ნაზი ხელები! —ო.

ზეესი ამ დაცინვის კილოთი ნათქვამს სიტყვებს ყურს უგდებდა და უღვაშებში ჩუმად იღიმებოდა.

ღმერთების მამათ მთავარმა ზევსიმ მოიწვია შემდეგ აფროდიტა ქალღმერთი და სიცილით ესე მიმართა მას: „საყვარელო შვილო! სჯობს ბრძოლის ველს თავი დაანებო! შენი საქმე საქორწილო მეჯლისების გამართვა არის და არა ბრძოლის ველზედ მეომართა შორის ტრიალი! სჯობს ისევ საომარი, საგმირო საქმეები ათინა ქალღმერთს და ბრძოლაში დახელოვნებულს არესს დაუთმო, იგინი უფრო მოხერხებულად ვანაგებენ ომიანობის საქმეს! შენ შენს ნუ ჩამოშორდები და გააბი რამდენიც და სადაც გინდოდეს საქორწილო ქსელების ეს ხელობა უფრო შეგშვენის, სანამ მეომარ გმირების წინააღმდეგ ამხედრება და სამკვდრო სასიცოცხლოთ გალაშქრება!“

ა. მიქაბერიძე





შ ა რ ა ლ ა

პირველი ხვდება პირუტყვსა,
 ცხოველი უვნებელია
 მსხვერპლად სწირავენ ხატებსა,
 მაკურთხებელი მღვდელია.
 მეორე მტაფე ხილია,
 საკმელშიც გემრიელია;
 მთელი ბავშვების მოკეთე,
 ხშირად ზღაპრების მოქმელია.

მ. ლელაშვილი

ასოების ამოცანა

- (წარმოდგ. თვს კანდელაკისაგან)
- 1) თვე.
 - 2) იორალი.
 - 3) ჩვენი პოეტი.
 - 4) კახეთის ქალაქი.
 - 5) გარეული ფრინველი.
 - 6) შინაური პირუტყვი.
 - 7) ხილი.
 - 8) პირის ნაწილი.
 - 9) ჩვენი პოეტი.
 - 10) ცხენის მორთულობა.
 - 11) მდინარე იმერეთ-გურიაში.
 - 12) კახეთის მდინარე.
 - 13) ბუნების მოვლენა.
 - 14) პატარა ქათამი.
 - 15) საპურო მცენარე.

მოიგონეთ 15 სიტყვა ზემოდ ჩამოთვლილ მნიშვნელობისა და იმათი პირველი ასოებიდან შეადგინეთ ქართული ანდაზა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ა ბ გ დ ე



ა



ბ



ქართველი
მითოლო-
გიური ქა-
ლი.



გ




დ



ე



ვ



ზ



ა



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
გამომცემლობა



”



’ ზ

დელი უნის
ქალიშვილი
ღმრთა
ღმრთა



ზ

ბ



ზ



ჰ

ჭ რ თ ე ბ ა



სურათთაგანი დამატებით

ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 5 მან. 16 კ. ერთის თვით 1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველთვის პირველ რიცხვებში.

ხელის-მოწერა მიიღება „დროების“ რედაქციაში, (ვანქის დიდი ქუჩა № 12); წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში შ. ქუჩუქაშვილთან (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ქარვასლა).

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ

на газету

з а к а в к а з ь е

(годъ второй)

П О Д П И С Н А Я Ц Ъ Н А

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ.. . . . 6 руб.—к.	за годъ. 8 руб. — к
за полгода . . . 3 руб 50 к.	за полгода . . . 4 руб. 50 к.

Помѣсячно повсуду. 75 коп. Отдѣльный №—5 коп. За границу вдвое.

За перемену адреса городского на иногородній—1 р., съ иногороднаго на иногородній—50 коп.

Адресъ редакцій: Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва.

РЕДАКЦІЯ ОТКРЫТА отъ 9-ти час. до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня. Редактор-Издатель Г. I. Амираджиби

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ

на газету

Н О В О С Т И з а к а в к а з ь я

ПОДПИСНАЯ ПЛАТА: { въ Тиф. за г.—6 р., „ 1 года 4 руб.)
 { въ провинціи „ 8 „ „ „ 5 руб.)
 Помѣсячно—75 коп.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: за мѣсто занимаемое строкой пети передъ текстомъ— 10 коп. и послѣ текста—5 коп. Извѣщенія о зрѣлисахъ печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и по 10 коп. —на 4-й страницѣ. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ—8 к. строка, въ отдѣлѣ „Стороннее сообщеніе“—10 коп. строка.

Адресъ конторы и редакцій: Эриванская площ., д. Кредити. Общ. (общій подъездъ съ Торі. д. Нейшелерь)

Контора открыта ежедневно отъ 9 ч. утра до 3 ч. дня и отъ 7 до 8 ч. веч.

Редакторъ принимаетъ ежедневно только отъ 2—3 ч. дня.

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდე.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მესხეთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.

„რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს ს. უწყვს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალის: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარს წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

შვიდეუ წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდადღათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარს წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვიჩის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 3 მ წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

110735351
018300000

ՀԱՅԿԱՆԻ ԳԵՂԱԿԱՆ



B. ՄԱՅՐԱՆՅԱՆ

ԿԱՐՏ

1909

N
մոսկով
մոսկով
մոսկով
մոսկով